CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

ექსკლუზივები!!! სკანდალები!!! უახლესი ამბები და ჟურნალისტური გამოძიება!..

განახლებულ საიტზე WWW.ALIA.ge

ჭორები, „აკრძალული ხილი“, გამორჩეული ფოტო-ვიდეო კადრები და შეშლილი... შეშლილი მსოფლიო!!!

N54 2984/ 10 აპრილი 2014 წ ფასი 60 თ

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## რატომ არ იღებს პარლამენტი ანტისეპარატისტულ კანონს?

რა არ სჯერა სოსო ცისკარიშვილს შს მინისტრის?



## თუ ამერიკა და ევროპა არ გვიცავს, რუსეთზე „პაჟალუსტასაც“ გვაძახებინებს?



## რატომ გადაწყვიტა „ერისიონმა“ მოსკოვში გასტროლები ოქტომბერში?




## „აღარ ვარ ქართველი და აღარ მინდა ამ ქვეყანაში ცხოვრება!“

რას ფიქრობს კოტე ყუბანეიშვილი ერთი წლის შემდეგ



# სკანდალი!!!

## რას აცხადებს გიორგი ახვლედიანი კახა კუკავასა და ჯონდი ბაღათურიაზე?



## ის, რაც ტელევიზიებმა არ აჩვენეს



## რით დაიწყო 9 აპრილს კონფლიქტი „ნაცებთან“

## რისთვის აკრიტიკებს გია კორკოტაშვილი დათო ოქიტაშვილს?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ევროსაბჭომ რუსეთის საწინააღმდეგო რეზოლუცია მიიღო



ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია დაგმო. რეზოლუციას ასამბლეის 154 წევრმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი კი 26 იყო.

„რეზოლუციის მოწინააღმდეგეები რუსები და მათი სატელიტები არიან. ეს რეზოლუცია პუტინის რეჟიმისთვის კიდევ ერთი საერთაშორისო სილის გაწვნაა, თუმცა მთავარი მოვლენა რუსული დელეგაციისთვის ასამბლეაში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევის ან უფლებამოსილების შეწყვეტის გადაწყვეტილება იქნება. მომხრეები ვართ, რომ ისინი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეადან გარიცხონ“, – აცხადებენ უკრაინელი დეპუტატები.

ევროსაბჭოში რუსეთის წარმომადგენლის, რუსეთის დუმის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის, ალექსეი პუშკოვის განცხადებით, მიღებული რეზოლუცია არ ნიშნავს, რომ რუსეთი თავის გადაწყვეტილებებს სასწრაფოდ გადახედავს და საგარეო პოლიტიკას შეცვლის.

„ამ ორგანიზაციაში ბევრი რეზოლუციაა მიღებული და მოდით, მათ მნიშვნელობას ნუ გადავაჭარბებთ. თუკი ასამბლეის უმეტესობა ფიქრობს, რომ რუსეთი არ შეესაბამება ევროსაბჭოს პრინციპებს, სჯობს, ნახონ, თავად რამდენად შეესაბამებიან. რუსეთი მზად იყო, ყოფილიყო ევროსაბჭოში, როდესაც ჩვენი კოლეგები დიალოგისთვის მზად იყვნენ, მაგრამ თუ ჩვენი კოლეგები მხოლოდ კრიტიკისთვის, ხმაურისა და განსჯისთვის არიან მზად, არ ვებღაუჭებით საპარლამენტო ასამბლეას და ჩვენ ამის შესახებ მივანიშნეთ“, – განაცხადა პუშკოვმა.

(ინტერპრესნიუსი)

## საქართველოში კვლავ არამდგრადი ამინდია მოსალოდნელი



მეტეოროლოგების ცნობით, 10 აპრილს დასავლეთ საქართველოში გამოიდარებს და უმეტესად უნალექო ამინდი შენარჩუნდება. ტემპერატურა მოიმატებს და ჰაერი 17-22 გრადუსის ფარგლებში გათბება. აღმოსავლეთ საქართველოში ხანმოკლე წვიმა შენარჩუნდება და ჰაერი 20 გრადუსამდე მოიმატებს. მომდევნო ორი დღის განმავლობაში კი საქართველოში ძირითადად ნალექიანი ამინდი იქნება, თუმცა სითბო შენარჩუნდება. (ჯი-ეიჩ-ენი)



# სკანდალი!!!

## რას აცხადებს გიორგი ახვლედიანი კახა კუკავასა და ჯონდი ბაღათურიაზე?

რაც უფრო ახლოვდება ადგილობრივი არჩევნები, სულ უფრო და უფრო იძაბება სიტუაცია. თუმცა თავიდანვე ვიტყვით, რომ, როცა მთელი აქცენტი არჩევნებზეა გადატანილი და შანსი გვაქვს, „მაიდანის“ იდეით აჟიტირებული „ნაციონალები“ ერთხელ და სამუდამოდ გავათრიოთ პოლიტიკური სცენიდან, და როცა საამისოდ არსებობს ერთადერთი ალტერნატივა, შეიქმნას ძლიერი და ერთიანი ოპოზიციური გაერთიანება, წესით, პოლიტიკური თამაშებისთვის ადგილი არ უნდა იყოს. სიტყვა „გაერთიანება“ ვახსენეთ და ჯერ კიდევ 17 მარტს „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავამ ბრიფინგზე განაცხადა, რომ მზად იყო, საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიულ მოძრაობასთან“ ერთად შეექმნა, თუმცა „ქრისტიან-დემოკრატებთან“ არ ვითანამშრომლებთო. „მედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანებაში მონაწილეობს „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, მსურს ნათლად განვაცხადო: არანაირ საარჩევნო მოლაპარაკებებს „ქრისტიან-დემოკრატებთან“ არ ვაწარმოებთ და არ ვგეგმავთ, ჩვენს შორის არსებული პრინციპული სხვაობისა და საზოგადოებისთვის ცნობილი „სხვა მიზეზების“ გამო, – აცხადებდა კახა კუკავა.

8 აპრილს კი კახა კუკავა ასევე ბრიფინგზე აჟღერებს, რატომ ვერ მოხერხდა ნინო ბურჯანაძის გუნდთან შეთანხმება. „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის ინფორმაციით, მის პარტიას აქვს „განსხვავებული პოლიტიკური წარსული და პრინციპულად განსხვავებული ხედვები“ „ქრისტიან-დემოკრატებთან“. მაგრამ ახლა ამ პარტიას უკვე დაემატა თავად ნინო ბურჯანაძეც. რაზე შემოსწყრა კუკავა ბურჯანაძეს? კუკავას თქმით, ბურჯანაძემ ჩვენგან პარტნიორობის სანაცვლოდ ოპოზიციური ლიდერებისგან მოითხოვა საკუთარი პარტიების დატოვება და არჩევნებში მისი პარტიის ეგიდით მონაწილეობა. გარდა იმისა, რომ ეს ეთიკურად მიუღებელია ჩვენთვის, ჩვენ გვაქვს „ქრისტიან-დემოკრატებისგან“ განსხვავებული პოლიტიკური წარსული და პრინციპულად განსხვავებული ხედვები, ამიტომ ვადასტურებთ მზადყოფნას, რომ განვაგრძოთ კონსულტაციები ერთიანი ბლოკის შექმნაზე, ბურჯანაძესთან გაერთიანებას კი თეორიულად გამოვრიცხავთო.

**ამასობაში დაგვიკავშირდა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელი გიორგი ახვლედიანი და სკანდალური ინფორმაცია მოგვაწოდა:**

– მესმის, რომ პოლიტიკაში დაუწერელი კანონები არსებობს, მესმის, გარკვეული ინტერესები არსებობს გარკვეული პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ჯგუფების, მაგრამ აქ ძალიან მარტივად დგას საკითხი: დღეს საუბარი იმაზე, თურმე კახა კუკავას ორგანიზაცია ნინო ბურჯანაძესთან იმიტომ ვერ მიდის, რომ „ქრისტიან-დემოკრატები“ არიან მათთვის მიუღებელი, იმდენად მოკლეფეხებიანი ტყუილია, რომ ამით კუკავა შორს ვერ წავა. ვაცხადებ, ჩვენ ერთი თვის მანძილზე გვქონდა ძალიან სერიოზული კონსულტაციები და შეთავაზებები, როგორი ფორმით უნდა მომხდარიყო ოპოზიციური კოალიციური გაერთიანების ჩამოყალიბება. იყო მისი მხრიდან ძალიან სერიოზული შემოთავაზებები, იქამდე სერიოზული, რომ ამბობდა, ორპარტიული ბლოკი ხომ არ გავაკეთოთო.

**— ამის შესახებ იცოდა ჯონდი ბაღათურიამ?**

– ორპარტიულ ბლოკზე რომ ალაპარაკდა, ვიკითხეთ, ჯონდი ბაღათურია სად არის-თქო. ანუ, ჯონდისთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა, რადგანაც ეს კაცი კახასთან მოიაზრებოდა და ჯონდი ერთი ხელის მოსმით როგორ მოიშორა და გადააგდო? ცოტა უხერხული იყო ჩვენთვისაც კი ამაზე საუბარი, როცა ასე ექცევიან ადამიანს. ვიმეორებ, ჩვენ ვლაპარაკობდით კახასთან, რომ ამ ერთიან ოპოზიციაში ერთად გავერთიანებულიყავით. ანუ, ყველანაირად ვცდილობდით, კახასთან თამაშის წესები შეგვეთანხმებინა.

**— მოლაპარაკებები სად იმართებოდა და ვინ ესწრებოდა?**

– მე მარტო ამ შეხვედრებზე არ ვყოფილვარ, მოლაპარაკებებს ჩვენი მხრიდან ესწრებოდნენ ლევან ვეფხვაძე და ნიკა ლალიაშვილი. უფრო ხშირად საუბარი მიმდინარეობდა ხოლმე კახასთან ოფისში, ყაზბეგის გამზირზე, რადგანაც სამუშაოდ და სასაუბროდ კარგი ვითარება იყო და იქ ძალიან ხშირად ვიკრიბებოდით, დაახლოებით ორ დღეში ერთხელ. სანამ მარტში პირველ კომენტარს გააკეთებდა ჩვენზე, ის ლევანსა და ნიკას ესაუბრა.

**— კახამ იცოდა თუ არა, რომ ლევან ვეფხვაძე ტაიმ-აუტს იღებდა?**

– რაც შეეხება ლევანის გადაწყვეტილებას, რომ ის ერთი წლით ინგლისში წავიდოდა, ამის შესახებ კუკავამ იცოდა თუ არა, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. ამის შესახებ ლევანისთვის არ მიკითხავს. ისე, ვეფხვაძემ ეს გადაწყვეტილება სამი თვეა, რაც მიიღო, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით გააჟღერა. მოკლედ, ამ საუბრების შემდეგ, დაახლოებით სამი კვირის წინ კახამ თქვა, ორშაბათს პასუხს გეტყვით, ერთად როგორ ჩამოვყალიბდეთო და ყოველგვარი პასუხის გარეშე, 17 მარტს უცებ გამოდის პრესკონფერენციაზე და ამბობს, რომ ბურჯანაძესთან არ წავალ, რადგანაც იქ „ქრისტიან-დემოკრატები“ არიანო. მესმის, პოლიტიკა არის ინტერესების სფერო და ხანდახან შეიძლება, ინტერესი ყველაფერზე მაღლა დადგეს, მაგრამ ესეთი მოკლე ტყუილითა და არასწორი ქმედებით საზოგადოება არ შევა შეცდომაში. ვიმეორებ, ამ ადამიანმა ძალიან ბევრი შემოთავაზება გაგვიკეთა, ჩემს „მეილბოქსში“ მრავლადაა მისი წერილები, სადაც გაერთიანებაზე ვლაპარაკობთ, დღეს კიდევ გამოდის და ამბობს, რომ თურმე „ქრისტიან-დემოკრატები“ რომ არიან ნინოსთან, ამიტომ აღარ უნდა ბურჯანაძესთან ლაპარაკი. ეს ძალიან არასწორი ქმედებაა, რბილად რომ ვთქვათ, არც პოლიტიკურში ჯდება და არც კაცურში. ერთხელ ვთქვი, რომ „ქრისტიან-დემოკრატიულ“ მოძრაობაში დასრულდა ამდაგვარ შავ პიარზე ყურადღების არმიქცევა და ფაქტების გატარება. შესაბამისად, ყველას გავცემ პასუხს, ვინც შეეცდება ჩვენთვის ტალახის სროლით თავისთვის ქულების დაწერას. ანუ, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება პოლიტიკურ რინგზე წელსქვევით დარტყმა გამოიყენოს, უნდა იცოდეს, რომ ჩემთან მიმართებაში ხუთჯერ მეტს უნდა ელოდოს. ჩვენი თავშეკავებულობა დასრულებულია.

**— თქვენ ბრიფინგის შემდეგ თუ დაუკავშირდით კახა კუკავას და თუ ესაუბრეთ?**

– რაზე უნდა ველაპარაკო? ან რა მაქვს სალაპარაკო? ადრე რომ გააკეთა მსგავსი განცხადება, მაშინაც წინაპირობად გვქონდა უკვე კონსულტაციები და მერე განაცხადა, რომ შეუთავსებლობა აქვს ჩვენთან და სანამდე უნდა ვუნახო ნამუსი? ნამდვილად არ ვართ ჩვენ იმის მიზეზი, რომ კახა კუკავა ვერ ლაგდება ერთიან ოპოზიციაში. ვხედავთ, რომ არ ჩერდება და აქედან გამომდინარე, შემოთავაზებები, რაც კახასგან გვქონდა ორპარტიულ ბლოკზე, დაე, ყველამ გაიგოს, რომ ტყუილს მართლაც მოკლე ფეხები აქვს. ყველანაირად გვინდოდა, ერთად ვყოფილიყავით, არ გამოვიდა და რა ვქნათ?



**რას ფიქრობს ამ ყველაფერზე ჯონდი ბაღათურია? რატომ ხდებოდა მის ზურგს უკან ორპარტიულ ბლოკზე საუბარი? კომენტარისთვის ჯონდი ბაღათურიას დავუკავშირდით: „ძალიან გამიკვირდა, როცა ეს გავიგე. რა თქმა უნდა, სრულიად მიუღებელი და არასასიამოვნო ფაქტია, რაც უნდობლობას აჩენს პარტნიორებს შორის. მეტი რა ვთქვა?“**

**საინტერესოა თავად კახა კუკავას კომენტარი:**

– გიორგი ახვლედიანის ბოდვაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ბრიფინგზე მე ვილაპარაკე იმ მიზეზზე, რატომ არ მოხერხდა ნინო ბურჯანაძესთან გაერთიანება.

**— გიორგი ამბობს, რომ მას აქვს მიმოწერა, სადაც თქვენ მას სთავაზობთ ორპარტიული ბლოკის შექმნას და ახვლედიანს შეუძლია, ეს წარმოადგინოს.**

– (ეცინება) ეს მის სტილში ჯდება...

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრეზიდენტმა 9 აპრილს დაღუპულთა ოჯახის წევრები დააჯილდოვა



საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

„ჩვენ დღეს ერთდროულად ვზეიმობთ და ვგლოვობთ იმ თავგანწირვას, რომელიც ჩვენმა მოქალაქეებმა აქ გასწიეს ძალიან მაღალი იდეალისთვის – ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის. თავისუფლება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ღირებულებაა, რომლისთვისაც სიცოცხლის შეწირვა ღირს. რა თქმა უნდა, ეს არის რთული, მაგრამ ღირს. ჩვენ დღეს ვზეიმობთ 1989 წლის 9 აპრილს მთელი ერის მთლიანობას და ვგლოვობთ იმ ღვაწლს, რომელიც ჩვენმა თანამოქალაქეებმა გასწიეს“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მემორიალთან მისვლამდე, გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტის სასახლეში 9 აპრილს დაღუპულთა ოჯახის წევრებს შეხვდა. მან დაღუპული გმირების ოჯახებს, სამშობლოს წინაშე გამოჩენილი სამაგალითო სამოქალაქო თავდადებისთვის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის, წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენები გადასცა. ჯილდოსთან ერთად, 9 აპრილს დაღუპულთა ოჯახის წევრები სიმბოლურად 6000-6000 ლარსაც მიიღებენ.

„თქვენ დაკარგეთ თქვენთვის ყველაზე ახლობელი ადამიანები. განსაკუთრებით მადლობას გიხდით, განსაკუთრებით მოგმართავთ იმ ადამიანებს, ვისმა ოჯახებმაც იტვირთეს ჩვენი დღევანდელი გამარჯვების, ჩვენი დღევანდელი სიამაყის ტვირთი. გვინდა გავიხსენოთ იმ ადამიანების სახელები, ვინც თავისი სიცოცხლე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან იდეალს შესწირა – იდეალს თავისუფლების. გარდაცვალებიდან ბევრი წლის შემდეგ, ვაჯილდოებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც იმ მომენტში გააერთიანა მთელი ერი ამ მაღალი იდეალისთვის. გვინდა არა მარტო მათი ღვაწლი აღვნიშნოთ, არამედ კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ ჩვენ საზოგადოებას, რომ ჩვენ არ ვივიწყებთ იმ ადამიანებს, ვინც თავისი სიცოცხლით, თავისი თავგანწირვით შეძლო ამ მაღალი იდეალის, თავისუფლების დაცვა და მოუტანა თავისუფლება თავის თანამემამულეებს“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

„პოლიტიკაში ბევრი რამე ხდება, ბევრი პერიპეტიაა. ჩვენი ისტორია სავსეა ასეთი პერიპეტიებით, შეცდომებით, ერთმანეთთან დაპირისპირებით, მაგრამ იყო ხოლმე მომენტები, როდესაც ერი მთლიანი და ერთიანი იყო. ეს ერთიანობა ყოველთვის ხდება ხოლმე ძალიან ამაღლებულის, მნიშვნელოვანის, მარადიულის ირგვლივ. ასეთი ღირებულებაა თავისუფლება და დღეს ვზეიმობთ ამ თავისუფლებას, ბუნებრივია, თქვენთან ერთად“, – აღნიშნა პრეზიდენტმა. (ინტერპრესნიუსი)

## ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება პრობლემების გარეშე ჩაივლის



როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა განაცხადა, ევროკავშირის ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეები შეგვპირდნენ, რომ ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება პარლამენტებში პრობლემების გარეშე ჩაივლის.

მისი თქმით, ევროკავშირის ქვეყნების პარლამენტების თავმჯდომარეებმა გამოხატეს მხარდაჭერა საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესებისადმი.

„სპიკერები წერილობით შეგვპირდნენ, რომ ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება შესაბამის პარლამენტებში პრობლემების გარეშე ჩაივლის და სპიკერები ამას ყურადღებას მიაქცევენ", – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა. მისი თქმით, ეს არის პარლამენტების სპიკერთა დონეზე გამოხატული ყველაზე მაღალი შესაძლო მხარდაჭერა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, დანარჩენ გადაწყვეტილებებს იღებს ევროკავშირი და არა მისი წევრი სახელმწიფოები.

დავით უსუფაშვილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ევროკავშირის პარლამენტების თავმჯდომარეების კონფერენციაზე მიღებულ დოკუმენტში ჩაიწერა საქართველოს ევროპული პერსპექტივის თაობაზე.

„დოკუმენტში ჩაიწერა, რომ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმომწერ ქვეყნებს აქვთ ევროპული პერსპექტივა და თუ მოისურვებენ და იმ სტანდარტებს დააკმაყოფილებენ, რაც ევროკავშირს აქვს დაწესებული, მაშინ მათი წევრობის საკითხიც შეიძლება დადგეს", – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

„ახლა ჩვენ უნდა მოვახერხოთ მიღწეულის გამაგრება, სათანადო შეთანხმებად გადაქცევა და შემდეგ, უკვე ცხოვრებაში, გატარება. ეს იქნება გრძელი და სერიოზული სამუშაო პროცესი", – განაცხადა დავით უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## „არანაირი ნიშანი არ ჩანს, რომ სამხრეთ ოსეთში ე.წ. რეფერენდუმი ჩატარდეს"



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი დარწმუნებულია, რომ სამხრეთ ოსეთში დაგეგმილი ე.წ. არჩევნების შედეგებს არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და მეგობარი ქვეყანა არ აღიარებს.

„ჯერჯერობით არანაირი ნიშანი არ ჩანს, რომ ე.წ. რეფერენდუმი ჩატარდეს. ამიტომ, მე არ მოვუწოდებდი არავის, რომ ამაზე განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება. ვიღაცას რაღაც მოსაზრებები შეიძლება ჰქონდეს. იქ ჩატარებულა ე.წ. რეფერენდუმები, ამ საკითხებთან დაკავშირებითაც და ჩანს, რომ ჯერჯერობით იმ შედეგებსაც არავითარი გამოხმაურება არ ჰქონია. ამიტომ, როგორც ყოველთვის, მშვიდად უნდა ვუყუროთ ამას. ჩავთვალოთ, ეს ესეც არის, რომ იქ ნებისმიერი მოქმედება არის უკანონო, თუმცა პოლიტიკური თვალსაზრისით საინტერესო, რადგან ასეთ დროს ჩანს, რა ძალები როგორ მოქმედებენ და ვისთან რა ფორმით შეიძლება მომავალში ურთიერთობის დამყარება", – აღნიშნა პაატა ზაქარეიშვილმა.

გავრცელებული ინფორმაციით, ცხინვალში ივნისისთვის დაგეგმილ ე.წ. საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდება რეფერენდუმი კითხვით – „თანახმა ხართ თუ არა, რომ სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთს შეუერთდეს". (ინტერპრესნიუსი)

## ფაქტ-მეტრმა პრემიერ-მინისტრის განცხადებების ნამდვილობა გამოიკვლია




ფაქტ-მეტრის კვლევებში დიდი ადგილი პრემიერ-მინისტრის განცხადებებს ეთმობა. ფაქტ-მეტრმა ირაკლი ღარიბაშვილის ის განცხადება გადაამოწმა, რომლის თანახმად, სტრატეგიული ობიექტების ცნება აღარ არსებობს და სტრატეგიული ობიექტების ნუსხა გაუქმებულია.

ამ საკითხის გადამოწმებისას ფაქტ-მეტრმა დაადგინა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების ნუსხა, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" კანონის საფუძველზე, 2003 წელს, ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის №58 ბრძანებით განისაზღვრა. ნუსხა 21 პუნქტისგან შედგებოდა. მთავრობამ 2008 წელს სტრატეგიული ობიექტების ნუსხა შეამცირა, შეიცვალა ტერმინიც და „სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი" ნუსხის სახელწოდებიდან ამოვარდა.

შესაბამისად, პრემიერის განცხადება სტრატეგიული ობიექტების ცნებისა და აღნიშნული ნუსხის თავდაპირველი სახით არარსებობის შესახებ, ორგანიზაციის მიერ სიმართლედ შეფასდა.

ფაქტ-მეტრის გუნდი საქართველოს პრემიერის იმ განცხადებითაც დაინტერესდა, რომელიც ამერიკასთან თავისუფალ ვაჭრობას ეხებოდა. ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა: „ამერიკის შეერთებულ შტატებთან დიალოგი წინა ხელისუფლების დროს დაიწყო. ჩვენ მოვახდინეთ ამ დიალოგის ინტენსიფიკაცია და მივაღწიეთ იმას, რომ თვითონ პრეზიდენტი ობამა მეუბნება მე, ჩვენ უნდა დაგეხმაროთ, რომ ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები გავაღრმაოთ".

„კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ამ საკითხზე მაღალი დონის დიალოგის პირველი შეხვედრა 2012 წლის 20 აპრილს გაიმართა აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენელს, რონ კირკსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ნიკოლოზ გილაურს შორის. 2012 წლის 29 მაისს, მეორე მაღალი დონის შეხვედრა შედგა სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილეს, მირიამ შაპიროსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარ მრჩეველს, თამარ კოვზირიძეს შორის. შესაბამისად, 2012 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში, აშშ-ის და საქართველოს წარმომადგენლებს შორის მაღალი დონის დიალოგი თავისუფალი ვაჭრობის საკითხებზე ორჯერ გაიმართა. არც 2012 წელს („ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ) და არც 2013 წელს აშშ-სა და საქართველოს შორის მაღალი დონის დიალოგი თავისუფალი ვაჭრობის საკითხებზე არ გამართულა 2014 წლის 27 თებერვლამდე, ანუ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვაშინგტონში ვიზიტამდე. ე.ი. 2012 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის თებერვლამდე მონაკვეთში (17 თვეში), მაღალი დონის დიალოგი ერთხელ შედგა, ხოლო 2012 წლის იანვრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე მონაკვეთში (10 თვეში) – ორჯერ.

ირაკლი ღარიბაშვილი განცხადებაში სამართლიანად აღნიშნავს, რომ აშშ-თან თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებაზე დიალოგი წინა მთავრობის დროს დაიწყო, თუმცა ხაზს უსვამს, რომ მისი ინტენსიფიკაცია მისი მთავრობის დროს მოხდა, სიმართლეს არ შეესაბამება და მცდარია", – მიაჩნიათ ორგანიზაციაში.

ფაქტ-მეტრმა ღარიბაშვილის კიდევ ერთი განცხადება გადაამოწმა – პრემიერი აღნიშნავდა, რომ საქართველომ რუსეთის ბაზარზე ექსპორტის გასამმაგება შეძლო, რაც ფაქტ-მეტრის აზრით, ბუნდოვანია, რადგან ის არ აკონკრეტებს, რომელ წელს ადარებს 2013 წლის მონაცემებთან. სტატისტიკიდან ჩანს, რომ საქართველოდან რუსეთში ექსპორტის მოცულობა 2013 წელს 2012 წელთან შედარებით 4.2-ჯერ გაიზარდა, 2006 წელთან შედარებით – 2.52-ჯერ, ხოლო 2005 წელთან შედარებით – 1.2-ჯერ.

2005-2013 პერიოდში ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა 18-ით გაიზარდა და რუსეთში ექსპორტირებული პროდუქციის პროცენტული წილი 18%-დან 7%-მდე შემცირდა. ამ ფაქტების გათვალისწინებით, ფაქტ-მეტრმა პრემიერის განცხადება ნახევრად სიმართლედ შეაფასა. (ბპნ)

## მიკროავტობუსის მგზავრებისთვის სპეციალური რადიო იქმნება



რადიო „უცნობის" ბაზაზე, რეჟისორ გოგა ხაინდრავას ინიციატივით, ახალი რადიო „MA" ჩამოყალიბდება, რომელიც მიკროავტობუსებში ჩაირთვება. „თბილისის მიკროავტობუსთან" მოლაპარაკებები დაწყებულია. ახალი რადიო ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფზე, მგზავრთა ინტერესებზე და მოთხოვნებზე იქნება მორგებული. მრავალფეროვანი იქნება რადიოს ფორმატი და მაუწყებლობის ბადე. რადიო იქნება ინფორმაციულიც, გასართობიც და შემეცნებითიც. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მძღოლებს საშუალება აღარ ექნებათ, ავტომობილებში სხვა რადიოსადგურებს მოუსმინონ, თუმცა, ხაინდრავას თქმით, მძღოლებთან ინდივიდუალური კონტრაქტები ნებაყოფლობით გაფორმდება. პროექტი თბილისის მასშტაბით ხორციელდება. (კვირა)

## შვედეთში ფიქრობენ, რომ რუსეთი მათ ქვეყანაში შეჭრას გეგმავს



უცხოური მედიის ინფორმაციით, შესაძლოა, რუსეთი შვედეთში შეჭრაზე ფიქრობდეს. ასე ვარაუდობენ შვედი მზვერავები. შვედეთის ხელისუფლებამ ვარაუდი იმდენად რეალისტურად მიიჩნია, რომ თავდაცვის სამინისტრომ სასწრაფოდ, არმიის რეფორმირების პროცესის მაქსიმალურ დაჩქარებაზე დაიწყო ზრუნვა.

შვედურ მედიაზე დაყრდნობით, ინფორმაციას სააგენტო „ნიუსრუც" ავრცელებს. მათი თქმით, შვედეთის უსაფრთხოების პოლიციამ, რომელიც უმთავრესად კონტრდაზვერვითი საქმიანობითაა დაკავებული – მიიჩნია, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების საქმიანობა საშიშია მათი ეროვნული უსაფრთხოებისთვის. საქმე ეხება, შვედეთის უსაფრთხოების პოლიციის მიერ, უკრაინული კრიზისის პერიოდში მიღებულ ინფორმაციას, რომლის გაანალიზებამაც, მათ აფიქრებინა, რომ რუსული არმია შეიარაღებული აგრესიისთვის ემზადება. პასუხად, შვედეთის თავდაცვის სამინისტრომ იმედი გამოთქვა, რომ მონაცემები არ დადასტურდება, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, არმიის რეფორმირების პროცესი მკვეთრად დააჩქარეს.

„რუსეთი ომისთვის ემზადება და ეს, ცოტა გვაშფოთებს", – განაცხადა შვედეთის კონტრდაზვერვის მთავარმა ანალიტიკოსმა ვილჰელმ უნგემ ერთ-ერთ შვედურ გაზეთთან საუბრისას. სპეცსამსახურების წარმომადგენელმა განსაკუთრებით იმას მიაქცია ყურადღება, რომ უკრაინასა და ყირიმში განვითარებული მოვლენების გამო რუსეთმა მეტისმეტად გააქტიურა დაზვერვითი საქმიანობა და მათ შორის, შვედეთშიც. ვილჰელმ უნგეს მტკიცებით, შვედეთის სპეცსამსახურებს აქვთ ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ბოლო პერიოდში, რუსულმა სპეცსამსახურებმა არაერთხელ სცადეს შვედეთის მოქალაქეების დათანხმება რუსეთის სასარგებლოდ დაზვერვით საქმიანობაზე.

გარდა ამისა, რუსული მხარის მიერ, შვედეთის კომპიუტერულ სისტემებზე შეტევის ფაქტებიც გამოავლინეს. დაბოლოს, შვედეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლის თქმით, „რუსულმა მხარემ შვედეთის განსაკუთრებით მგრძნობიარე რაიონების რუკები შეიძინა".

შვედური მხარის შეშფოთების მიზეზად კიდევ ერთი ფაქტორიც იქცა – რუსული გამანადგურებლები ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად მანევრირებენ შვედეთის საზღვართან. ვილჰელმ უნგეს თქმით, შვედური მხარის მიერ ეს მანევრები „შვედეთის სამხედრო ობიექტებზე თავდასხმის მოდელირებად" შეაფასდა. (პრესა.ჯე)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ქართველი ემიგრანტების" თავმჯდომარე „ნაცმოძრაობის" გეგმის დეტალებს ასაჯაროებს

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტების" თავმჯდომარე ზვიად ყუშიტაშვილი „ნაციონალური მოძრაობის" მიერ საქართველოში დაგეგმილი არეულობის დეტალებზე საუბრობს.

„ყველამ კარგად ვიცით, რა ბინძური პოლიტიკა გაატარა ამერიკამ უკრაინაში, სადაც ძმათა შორის დაიღვარა სისხლი. მინდა გითხრათ, რომ ამ პროცესებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი „ნაცმოძრაობის" ლიდერი, კრიმინალი სააკაშვილი და მისი დაჯგუფება. დღეს „ნაცმოძრაობა" იგივეს გეგმავს საქართველოში, რასაც დაარქმევენ კიევის მაიდანს. მინდა ჩემს ხელთ არსებული, კიევში, ქართველებთან გადამოწმებული ინფორმაცია გავასაჯაროო. „ნაცმოძრაობის" წარმომადგენლები ქ. კიევში ხვდებიან და შეკრებებს აწყობენ ქართველ ემიგრანტებთან. ამ შეკრების ერთ-ერთი ლიდერია ბელორუსში მცხოვრები და „ნაცმოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის, გივი თარგამაძის ნათესავი, დავით თარგამაძე. მათი გეგმა მდგომარეობს შემდეგში: ქ. კიევში გადაბირებულ ახალგაზრდებს დააფინანსებენ და გამოუშვებენ საქართველოში. ამ ახალგაზრდებს მიცემული აქვთ დავალება, გამართონ საპროტესტო აქციები საქართველოს სამ რეგიონში – ზუგდიდში, ქუთაისსა და კახეთში რაიონის ადმინისტრაციის შენობებთან, საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტების დასაქმების მოთხოვნით, რასაც ჰპირდებოდა მათ დღევანდელი ხელისუფლება.

ემიგრანტების აქციების დაწყების დღიდან მესამე დღეს ანალოგიური აქცია გაიმართება ქ. თბილისში პარლამენტის შენობის წინ, რომელსაც შეუერთდებიან ზემოაღნიშნული აქციის მონაწილეები. ამ აქციისადმი მხარდაჭერას გამოთქვამენ „ნაცმოძრაობის" წარმომადგენლები. აქციებს შეუერთდებიან ემიგრანტების ოჯახის წევრებიც. აქციის მონაწილეები მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გადავლენ და დაიწყებენ იმ სურათის დახატვას, რაც კიევში მოხდა. რუსთაველსა და ქალაქის შემოსასვლელებში დაიწყებენ საბურავებით ბარიკადების აღმართვას. მოვლენების ამდაგვარი განვითარების შემთხვევაში „ნაცმოძრაობის" ლიდერები აქციებში ჩაერთვებიან. ასევე, უკრაინაში ქ. კიევში მემარჯვენეთა კრიმინალური დაჯგუფებები გამართავენ მხარდამჭერ აქციას,



ამ აქციების მიმდინარეობისას ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი გააკეთებს საგანგებო განცხადებას, რასაც მოჰყვება „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერი განცხადებები საქართველოში". – აცხადებს ყუშიტაშვილი და საქართველოს ხელისუფლებას მიმართავს, მკაცრად იქნას გაკონტროლებული უკრაინისა და ბელარუსის რეისები საქართველოში, გაკონტროლებულ იქნას ყველა მობრუნებული ახალგაზრდა, გადაიხედოს მათი საქმიანობა საქართველოში საქართველოს დატოვებამდე.

„ასევე, მივმართავ ქართველ ხალხს – არ აჰყვეთ ამერიკის, უკრაინისა და „ნაცმოძრაობის" ერთიანი არეულობის გეგმას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ინფორმაციას ვფლობ ამ შეკრებაზე დამსწრე ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტისგან", – ნათქვამია წერილში. (თაიმერი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

## გაერო საქართველოს პარლამენტის ხელშეწყობას განაგრძობს



ევროკავშირი და გაეროს განვითარების პროგრამა განაგრძობენ საპარლამენტო დემოკრატიის ხელშეწყობას საქართველოში. ახალი ინიციატივის ოფიციალური წარდგენა 10 აპრილს გაიმართება.

ღონისძიებას დაესწრებიან: დავით უსუფაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე; ფილიპ დიმიტროვი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი; და ნილს სკოტი, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში.

2.5 წლის ხანგრძლივობის პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს პარლამენტის თანამშრომლობას ევროპელ პარტნიორებთან, მაღალი რანგის საერთაშორისო მრჩევლების მოწვევას და საჯარო დისკუსიის ჩატარებას ევროპული ინტეგრაციის შესახებ.

პროექტის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია პარლამენტის მხარდაჭერა ბიუჯეტის კონტროლისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

გარდა ამისა, ევროკავშირი და გაეროს განვითარების პროგრამა დაეხმარებიან საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიმდინარე ინსტიტუციური რეფორმის განხორციელებასა და რეგლამენტის გადახედვაში საკონსტიტუციო ცვლილებების გათვალისწინებით.

პროექტს, რომლის სრული ბიუჯეტი 1,665,000 ევროა, აფინანსებენ ევროკავშირი და საქართველოს პარლამენტი, ხოლო განახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა.

პროექტი ეყრდნობა გაეროს განვითარების პროგრამის ათწლიან გამოცდილებას საქართველოს პარლამენტის ხელშეწყობის საქმეში. (ინფო9)

## „რუსეთი ცდილობს, დააბრუნოს 1945 წელს არსებული პოლიტიკური წყობა“



როგორც პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, თედო ჯაფარიძემ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რუსეთის მიერ უკრაინის ყირიმის ოკუპაცია და ანექსია, რისთვისაც ლეგვის ფოთლად იქნა გამოყენებული რეფერენდუმი, სამწუხაროდ, ნიადაგს ამზადებს უფრო მეტი მსგავსი ქმედებებისთვის.

„მოსკოვი ახლა უკვე რევიზიონისტულია, უფრო მეტიც – რევანშისტული, რაც იმას ემსახურება, რომ დაბრუნებული იქნას არა 1991 წლის, უფრო მეტიც 1945 წელს არსებული პოლიტიკური წყობა. ამგვარი ქმედებების შედეგად რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ეთნიკური რუსი ეროვნების ადამიანები თავს გრძნობენ ერთდროულად საფრთხის ქვეშ და ასევე დაცულადაც. საბოლოო ჯამში კი ეს ცვლის ვითარებას გლობალურად, ევროპასა და აზიაში. ცდება, ვისაც სჯერა, რომ არსებული კრიზისი „შეეხება მხოლოდ ყირიმს, რომელიც ისედაც რუსეთის იყო“. სასწორზე უფრო მეტი რამ დგას. მოსკოვის ახირება, რომ გადაიხედოს საზღვრები მხოლოდ ნაციონალურ ნიადაგზე, მსოფლიოს აბრუნებს 1918 წელში, „ვერსალის ფორმატში“ და გზას უხსნის სხვადასხვა აგრესიული ქმედებების გამოვლინებას. მოსკოვი იყენებს რევერსულ ქმედებას, რაც ემყარება ნაციონალიზმის დაქვეითებას და ხელშეწყობას მისი ხელახალი გაღვივებისთვის. გავრცელდა სახიფათო ცნება, რომ ეთნიკურობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოქალაქეობა, რაც თავის მხრივ ძირს უთხრის გაეროს საფუძვლებს.

ყოველ ჩვენგანს უნდა კარგად ახსოვდეს და მეტიც, უნდა იმეორებდეს პასტორ ნიმოლერის მწარე გამონათქვამს, რომელიც შეიძლება მივუსადაგოთ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს: თავდაპირველად ეს მოხდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და მე ხმა არ ამოვიღე, რადგან ქართველი არ ვიყავი... შემდეგ ყირიმის ანექსია მოხდა და არც მაშინ ამოვიღე ხმა, რადგან უკრაინელი არ ვიყავი, მერე კი, როდესაც ჩვენთანაც მოვიდნენ, აღარავინ დარჩა ხმის ამომღები... ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, ქალბატონებო და ბატონებო!“ – განაცხადა თედო ჯაფარიძემ. (რეპორტიორი)

## საკრებულოს დეპუტატები „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ცენტრალური ლაბორატორიის მუშაობას გაეცნობიან




კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ანტიკრიზისული შტაბის ხელმძღვანელი გიორგი გაჩეჩილაძე თბილისის საკრებულოს დეპუტაციას დედაქალაქის წყალმომარაგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტისა და კომპანიის ცენტრალური ლაბორატორიის მუშაობის სპეციფიკას გააცნობს.

ღრმაღელის სათავო ნაგებობაზე, რომელიც თბილისის ზღვაზე მდებარეობს, საკრებულოს დეპუტატები ყველა იმ ძირითად პროცესს გაეცნობიან, რაც ნედლი წყლის სასმელ წყლად გარდაქმნასა და წყლის ხარისხის ლაბორატორიული კონტროლის სანდოობას უკავშირდება.

კომპანიის ანტიკრიზისული შტაბის ხელმძღვანელი ისაუბრებს, რამდენად საიმედოდ და სტაბილურად ხორციელდება თბილისის წყალმომარაგება, უსაფრთხოა თუ არა ონკანის წყლის მოხმარება დედაქალაქში და რამდენად სანდოა სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი. (ინტერპრესნიუსი)

## სააკაშვილის სასამართლოში 18 ათასი სისხლის სამართლის საქმიდან გამამართლებელი მხოლოდ 1 იყო



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი სოზარ სუბარი აცხადებს, რომ სტალინის მმართველობის პერიოდში, ყველაზე დიდი რეპრესიების დროს 1937-დან 1945 წლამდე, გამამართლებელი განაჩენები საბჭოთა სასამართლოების ფარგლებში 10% იყო, 2008 წელს მიხეილ სააკაშვილის მიერ რეფორმირებული საქართველოს სასამართლოებში კი გამამართლებელი განაჩენი 18 ათასი სისხლის სამართლის საქმიდან მხოლოდ 1 იყო.

„ასეთი მაჩვენებელი არ ყოფილა არც ბოკასას აფრიკაში და არც ჩრდილოეთ კორეაში. ლაპარაკობდნენ, რომ სააკაშვილის დროს სასამართლოში კორუფცია აღმოიფხვრა. თუ მოსამართლეს გადაწყვეტილების გამოტანა არ შეუძლია, ბუნებრივია, ის ფულს ვერ აიღებს, მაგრამ პოლიტიკური კორუფციაა, როდესაც მოსამართლე არ არის დამოუკიდებელი და პირდაპირ ასრულებს პროკურორის დავალებას და მეტიც, მას შესციცინებს თვალებში და ნოტარიუსივით აფორმებს მის გადაწყვეტილებას“, – აცხადებს მინისტრი. (რეპორტიორი)

## ოსმალეთისგან აჭარის განთავისუფლების ნიშნად მემორიალი აღიმართება



აჭარის ოსმალთა იმპერიისგან განთავისუფლებისა და საქართველოსთან დაბრუნების 135 წლის აღსანიშნავად, აჭარის საგვარეულო კავშირის ეგიდით ბათუმში მემორიალი აღიმართება.

აჭარის საგვარეულო კავშირის ხელმძღვანელის, მწერლისა და იდეის ავტორის, ნიაზ ბოლქვაძის განცხადებით, 4 მეტრი ბუნებრივი გრანიტის ქვის მემორიალზე ბრინჯაოში გამოსახული ისტორიული მოვლენის ამსახველი შესაბამისი სიმბოლოები იქნება აღნიშნული. მემორიალი სახალხო შემოწირულობებით იდგმება.

ბოლქვაძის განმარტებით, მოქანდაკემ უკვე დაასრულა ქვაზე მუშაობა. მაკეტი ჩამოსასხმელად მზად არის, თუმცა ამისთვის სახსრებია საჭირო. მისი შეფასებით, მემორიალის დადგმას უდიდესი მნიშვნელობა ექნება, როგორც საქართველოს ისტორიის უკვდავსაყოფად, ასევე სახალხო დიპლომატიის მხრივაც. (კვირა)

## მთავრობამ დოლარის კურსის რყევით ხეირი ნახა?




„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ეკონომიკური სტატისტიკის ამსახველი განცხადება გამოაქვეყნა.

„2014 წლის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თებერვალში ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა 5,4%, ხოლო იანვარ-თებერვლის საშუალო რეალურმა ზრდამ 6,7% შეადგინა, რაც განპირობებულია იმით, რომ შარშან, ფაქტობრივად, ეკონომიკა არ იზრდებოდა და შარშანდელი ეკონომიკური ზრდა, მთავრობის დაპირების მიუხედავად, ნაცვლად 6%-ისა, 2,4% იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია ახლად რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობა“, – ნათქვამია განცხადებაში.

ასევე, „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებაში აღნიშნულია, რომ უპრეცედენტოდ გაზრდილია საგარეო ვალის რაოდენობა.

„შიდა ვალის ასეთი მასშტაბური ზრდა პირველად დაფიქსირდა. 2013 წელს საგრძნობლად არის გაზრდილი საგარეო ვალიც. ფინანსთა სამინისტრომ 2013 წლის ბოლოს 1,345 მილიარდი ლარის შიდა ვალი აღნუსხა. 2014 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით კი, ქვეყნის საშინაო ვალმა 1,491 მილიარდ ლარს მიაღწია. ანუ 2 თვეში შიდა ვალი 146 მილიონი ლარით გაიზარდა. წინათ, შიდა ვალის ასეთი მასშტაბური ზრდა, არათუ 2 თვის განმავლობაში, არამედ ერთწლიან პერიოდშიც არ ყოფილა. უფრო კონკრეტულად: 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, შიდა ვალი, მთლიანობაში, 114 მილიონი ლარით გაიზარდა, 2012 წელს ფინანსთა სამინისტროში 1,231 მილიარდი ლარის შიდა ვალი გაიწერა. აქვე შეგახსენებთ, რომ 2013 წელს პირველად დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით საგადასახადო შემოსავლებს დააკლდა 630 მლნ ლარი. 2014 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 8%-იანი ზრდით არის დაგეგმილი 2013 წელთან შედარებით, მაგრამ სამწუხაროდ, ზრდა საგადასახადო შემოსავლების ნაცვლად, ვალდებულებების ზრდის ხარჯზე ხორციელდება. 2014 წლის საგადასახადო შემოსავლების გეგმა 6 820 მლნ ლარს შეადგენს და ის 100 მლნ ლარით ნაკლებია დაგეგმილი 2013 წლის გეგმასთან შედარებით, 6 920 მლნ ლარი. 2014 წლის მარტში შემოვიდა 685 მლნ ლარი, რაც დოლარულ ეკვივალენტში შეადგენს 392 მლნ დოლარს, ხოლო 2013 წლის მარტში შემოსული იყო 709 მლნ ლარი, რომელიც დოლარულ ეკვივალენტში შეადგენს 429 მლნ დოლარს. რაც შეეხება საგადასახადო შემოსულობებს – პირველი კვარტალის გეგმა იყო 2 099,1 მლნ ლარი. შესრულებამ შეადგინა 2 037 მლნ ლარი, რაც 62 მლნ-ით ნაკლებია. რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლების გეგმას – საგადასახადო შემოსავლების გეგმა იყო 1 636,8 მლნ ლარი და მისმა მოცულობამ შეადგინა 1639,3 მლნ. აქვე აღსანიშნავია, რომ გეგმა ბოლო დღეს, 31 მარტს შევიდა 141 მლნ ლარი, რაც თავისთავად კითხვის ნიშანს ბადებს“, – ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამასთანავე, „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიიჩნევენ, რომ მთავრობამ დოლარის კურსის რყევით საკმაო ხეირი ნახა, რაც ციფრებში შემდეგნაირად გამოიხატება: 2013 წელს აიკრიფა 1 553 მლნ ლარი, რომელიც დოლარზე გადაანგარიშებით შეადგენს 936 მილიონს, ხოლო 2014 წელს სახელმწიფომ აკრიფა 1 639 მლნ ლარი 936 მლნ დოლარი, ანუ 86-მილიონიანი ზრდა, რეალურად, უდრის 0 დოლარს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თინა ხიდაშელმა ევროსაბჭოში რუსეთის წინააღმდეგ მწვავე განცხადება გააკეთა



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ ასამბლეაში არ არის იმ ადამიანების ადგილი, ვინც დამოუკიდებელი ქვეყნების ოკუპაციასა და ანექსიას ხმას აძლევს.

„25 წლის წინ, 9 აპრილს ჩემს ქალაქში რუსეთის ჯარი შემოვიდა, მშვიდობიანი დემონსტრაციის დასარბევად. შედეგად 21 დაღუპული, ასობით დაჭრილი და ათასობით მოწამლული ადამიანი მივიღეთ. იმ ტრაგიკულ ღამეს მაინც გვიხაროდა, გვიხაროდა, რომ იმპერიის დასასრული გამოჩნდა და გვჯეროდა, რომ მთელი მსოფლიო იბრძოლებდა მშვიდობისათვის და არ დაუშვებდა იმპერიალიზმს. სამწუხაროდ, 25 წლის შემდეგაც ისევ იქ ვართ, იმედებით სავსე. რუსეთი კი წლიდან წლამდე საკუთარ ჯარებს კვლავაც აგზავნის მორიგი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ოკუპაციისათვის ჩვენ, დანარჩენი მსოფლიო, ამას თითქოს ვერაფერს ვუპირისპირებთ.

ჩემო მეგობრებო, იმათ ვინც მე-20 საუკუნეში დარჩა, მინდა, შევახსენო, საბჭოთა კავშირი დასრულდა, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან, როგორ საშინლადაც არ უნდა ჟღერდეს ეს. საქართველო, მოლდოვა და უკრაინა თავად აკეთებენ არჩევანს და რუსეთი ამ არჩევანის ნაწილი არ არის. ასეთია ფაქტები და ისინი არ შეიცვლება, ისტორიას თავისი ლოგიკა აქვს, ყირიმი აუცილებლად დაბრუნდება, დნესტრისპირეთიც, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთიც აუცილებლად დაბრუნდება. ამის დასტურია ის, რომ თქვენ აღარ დგახართ პრაღაში და ტალინში. აღარ არსებობს ბერლინის კედელი. დღეს, კოლეგებო, სრული მხარდაჭერა უნდა აღმოვუჩინოთ უკრაინის დემოკრატიულ ხელისუფლებას. ხოლო ხვალ, ასეთივე მკვეთრი და ნათელი პასუხი უნდა გავცეთ რუსეთს, რომ ამ ასამბლეაში, ან დარბაზში ჩვენს გვერდით არ არის ადგილი იმ ადამიანების, ვინც ხმას აძლევს დამოუკიდებელი ქვეყნების ოკუპაციასა და ანექსიას“, – განაცხადა თინა ხიდაშელმა. (ნიუპოსტი)

## ჩვენი ქვეყანა დეზინტეგრირებულია



„სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, სამწუხაროდ, საქართველო დეზინტეგრირებულია და ქვეყნის დამოუკიდებლობა კვლავ უნდა დავიცვათ. „9 აპრილი იყო მაგალითი ქართველების საოცარი ერთსულოვნებისა და თავგანწირვისა, ყველა ასეთი სულისკვეთებით ვიდექით აქ. ეს ქართველი ერის ნების გამოხატვის უდიდესი მანიფესტაცია იყო. ვისურვებდი, მსგავსი ერთსულოვნება კვლავ გამოევლინოს ჩვენს ხალხს, რადგან უამრავი გამოვლენების წინ ვდგავართ. ჩვენ ვდგავართ გამოწვევის წინაშე, რომ კვლავ უნდა დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა და ქვეყნის ერთიანობის აღსადგენად ვიბრძოლოთ“, – განაცხადა ბათიაშვილმა. (ფრონტნიუსი)

## სამშობლოსთვის დაღვრილ სისხლს უკვალოდ არ ჩაუვლია



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში ქართველი ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლისა და თავგანწირვის სიმბოლოდ იქცა.

„25 წელი გავიდა 1989 წლის 9 აპრილიდან. ეს დღე თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ქართველი ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლისა და თავგანწირვის სიმბოლოდ იქცა. დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო ის იდეალები, რომლებსაც ჩვენი თანამემამულეები შეეწირნენ.

ეს თარიღი საქართველოს უახლეს ისტორიაში ორმაგად მნიშვნელოვანია – სწორედ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების, საბჭოთა იმპერიალიზმის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის შედეგი იყო, ზუსტად 2 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. დღეს საქართველო დამოუკიდებელი, თავისუფალი სახელმწიფოა. ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ ჩვენს გმირებს, ყოველთვის პატივს მივაგებთ მათ ხსოვნას და იმ იდეალების ერთგული დავრჩებით, რომლებსაც მათ შესწირეს თავი“, – ნათქვამია პრემიერ-მინისტრის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოში საინტერესო დეტალები აღმოაჩინა

დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, მარტინ ლიდეგორდის განცხადებით, საქართველოში ქვეყნის მხარდაჭერის კიდევ ერთხელ დასაფიქსირებლად იმყოფება.

„რამდენიმე თვეში ხელი მოეწერება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ეს კი ძალიან კარგი იქნება, როგორც საქართველოსთვის, ასევე თავად ევროკავშირისთვის. ჩვენ ყველანაირ საშუალებას გამოვიყენებთ, რომ ეს ხელშეკრულება ხელმოწერილი და დასრულებული იყოს“, – განაცხადა მარტინ ლიდეგორდმა.

მისივე თქმით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, საქართველოსთან ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება.

„დავაფიქსირე, რომ ჩვენი ქვეყნების დროშები ერთი და იგივე ფერებშია. გავიგე, რომ თქვენ საშობაო ნაძვის ხეების ექსპორტს ახორციელებთ და თქვენი ნაძვის ხეები ევროპულ ოჯახებში ხვდება. ესეც ძალიან კარგი ამბავია“, – განაცხადა მარტინ ლიდეგორდმა. (ინტერპრესნიუსი)

# რისთვის აკრიტიკებს გია კორკოტაშვილი დათო ოქიტაშვილს?



საქართველოს კულტურის სფეროს წარმომადგენლები, გიორგი კორკოტაშვილის თაოსნობით, საქართველოს კულტურის პალატის გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდნენ და თბილისში რუსი მსახიობის სერგეი ბეზრუკოვის გასტროლების დაშვება მოითხოვეს. ღია მიმართვისთვის ხელმოწერების შეგროვება კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს. დოკუმენტს ხელი მოაწერეს მომღერალმა გიორგი კორკოტაშვილმა, რეჟისორმა ერეკლე ბადურაშვილმა, მომღერალმა მამუკა ჩარკვიანმა, მსახიობებმა გიორგი გურგულიამ, ზურაბ ყიფშიძემ, დავით ნეფარიძემ და დავით ბახტაძემ.

შეგახსენებთ, რომ 12 მარტს საქართველოს კულტურის პალატამ უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო თბილისში რუსი მსახიობის მაისისთვის დაგეგმილი გასტროლები გააუქმა.

**დეტალების დასაზუსტებლად „ალია" გია კორკოტაშვილს დაუკავშირდა:**

**— ბატონო გია, ბეზრუკოვი ის კაცი არ არის, უკრაინაში რუსეთის აგრესიას რომ დაუჭირა მხარი? ამის გამო მოხსნეს გასტროლები. რამ გადაგაწყვეტინათ მისი ჩამოყვანა?**

– ბეზრუკოვთან დაკავშირებით ეს არის კონკრეტული მაგალითი. არ მომეწონა, რომ მას უარი ეთქვა თბილისში ჩამოსვლაზე. იმის გარდა, რაც არის პოლიტიკა, ტანკები, სამხედრო საკითხები, არსებობს სახალხო დიპლომატიაც. სწორედ ასეთი დიპლომატიაა იმისთვის, რომ ადამიანებმა ამბიციურ და ძალისმიერს გვერდი აუარონ. ერებს შორის თუ რამე დაძაბულობაა, უნდა ვიპოვოთ სხვანაირი მოფერების საშუალება, ანუ გაიხსნას ის ცხრაკლიტულები, რომელიც არსებობს ერებს შორის. ხელოვნების მუშაკების მისვლა, ჩამოსვლა და წასვლა ემსახურება იმას, რომ ადამიანებმა გულთან მიიტანონ ის ტკივილი და დანაშაული, თუ რამე მიუძღვის რომელიმე მხარეს. ის ადამიანი რომ ჩამოდიოდა საქართველოში, იმას კი არ ნიშნავს, რომ თავისი პოლიტიკური პოზიცია დაეფიქსირებინა. იმას რა პოლიტიკაც აქვს, იქ ტოვებდა და აქ პოლიტიკის მიღმა ჩამოდიოდა.

**— მან უკვე დააფიქსირა პოლიტიკური პოზიცია პუტინის გადაწყვეტილებაზე და არ გაუმიჯნავს პოლიტიკურად თავი.**

– მე გიხსნით იმას, რომ არ მაინტერესებს ის მორალურად მდგრადია თუ არა, რამდენი ცოლი ჰყავს, ან არის თუ არა მართლმადიდებელი, პოლიტიკაში ვისი ფანია. მე ელტონ ჯონი მიყვარს, როგორც ხელოვანი და შემოქმედი, და არ მაინტერესებს მისი ორიენტაცია, ასევე მიყვარს ბეზრუკოვიც.

**— რაღა ეს ბეზრუკოვი გახდა სათაყვანო და არა ის ხელოვანები, ვინც ღიად გააპროტესტა რუსეთის ქმედებები, ისინი ჩამოვიყვანოთ.**

– გიპასუხებ მაგაზეც, ახლა არის გრებენშიკოვი ჩამოსული თბილისში, ახლა ის ვიფიქრო, რა თქვა, ან თუ თქვა რამე პუტინის საწინააღმდეგო, თუ როგორც გრებენშიკოვს, ისე მოვუსმინო? მაშინ ასე განვიხილოთ საკითხი, რომ ვინც პუტინის წინააღმდეგაა, ის ჩამოვუშვათ საქართველოში და სხვებს ავუკრძალოთ. შეიძლება, ეს ხალხი ნული იყოს ხელოვნებაში. რატომ აპოლიტიზებთ ამ თემას?

**— მკითხველის პოზიციიდან გეკამათებით, ბატონო გია...**

– მაშინ ასე მივმართავ მკითხველს, რუსეთის მტრის ხატად შექმნა არის პოლიტიკოსების ხრიკი, რომელთაც უნდოდათ, რომ ამერიკა წამოეწიათ მაღლა და რუსეთი დაეწიათ დაბლა. ეს არასწორი ქმედებაა, რადგან საქართველო ყოველთვის ელასტიკური უნდა იყოს იმ განსაზღვრებაზე, რასაც პოლიტიკა ჰქვია. პატარა ქვეყანა ვართ და მთელი ჩვენი ისტორია სიტუაციიდან გამოძრომასა და რეალობასთან შეგუებაზეა აგებული. ვიღაცები აისბერგის შენარჩუნებას ცდილობენ, ჩვენ მის გალღობას ვცდილობთ. ამაზეც ხომ უნდა იზრუნოს ვიღაცამ? პუტინს რომ ლილიპუტი დავუძახეთ, რა მოვიგეთ? მთელ რუსეთს ღვინის ფეკალური მასებით ვამარაგებდით, რა მოვიგეთ? არც არაფერი.

**— იმაზე არ გიფიქრიათ, რუსეთი რომ საქართველოს დაესხას თავს, ბეზრუკოვმა შეიძლება ესეც გაამართლოს და ჩვენ აქ ტაში უნდა დავუკრათ?**

– ბეზრუკოვი პოლიტიკის გარეშე მოდიოდა აქ. უნდოდა, რომ ქართველი ხალხისთვის ენახვებინა ხელოვნება. ჩემი ამომავალი წერტილი არის საქართველო და მძულს ყველა, ვინც ჩემს ქვეყანას ზიანს მოუტანს, მაგრამ თუ ბეზრუკოვი თავის ნიჭიერებას ქართველ ხალხს ანახებდა, ამაში ცუდი არაფერი იქნებოდა. არ მივაბათ ეს კაცი პოლიტიკას, ხომ შეიძლება, მივიღოთ ისე, როგორც ხელოვანი? ჩემს აზრს ვაფიქსირებ ისე, როგორც ვფიქრობ.

**— ბატონო გია, ამბობენ, რომ ზოგიერთმა არც იცოდა, რა განცხადებას აწერდა ხელს. ასეა?**

– არა, ერთმა თქვა, არ ვიცოდი, რომ ბეზრუკოვს ასეთი რამ ჰქონდა ნათქვამიო, მაგრამ უკან არ დაუხევია, რაზე მოვაწერეთ ხელი, ყველამ კარგად ვიცით, ყველამ გამოვხატეთ ის, რომ საქართველოს არ გავყიდით არაფრის გამო, სამშობლო არის უზენაესი და ათვლის წერტილი ჩვენთვის. ბეზრუკოვი კი უნდა განვიხილოთ ისე, რასაც ხელოვნება ჰქვია. მას პოლიტიკურად რა დატვირთვა აქვს, ამაზე არ ვფიქრობ.

**შეიცვლის თუ არა პოზიციას კულტურის პალატა? ამის გასარკვევად „ალია“ პალატის ხელმძღვანელს, დავით ოქიტაშვილს დაუკავშირდა:**

**— ბატონო დავით, ხელმოწერებს აგროვებენ ბეზრუკოვის ჩამოყვანის მოთხოვნით. აპირებთ პოზიციის შეცვლას?**

– არანაირად არ ვაპირებ პოზიციის შეცვლას ბეზრუკოვთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და არ მიმაჩნია სწორად, ბეზრუკოვის გასტროლები ჩატარდეს საქართველოში, როცა მით უმეტეს ვხედავთ, როგორ დაიძაბა სიტუაცია უკრაინაში. რაც შეეხება ხელისმომწერებს, ყველას აქვს თავისი აზრი, პოზიცია და იმ ადამიანებს თუ უნდათ, დაურეკონ და ჩამოიყვანონ.

**— ისინი ამბობენ, პოლიტიკა და ხელოვნება უნდა გაიმიჯნოს, როგორც ხელოვანი, ისე ჩამოვიდესო...**

– მე ამ აზრს ვიზიარებ, მაგრამ როცა ჯერ კიდევ დაძაბული სიტუაციაა, გაჩაღებული ომია, ასეთ სიტუაციაში ვერ გამიჯნავ, როცა ბეზრუკოვი ამართლებს რუსეთის ქმედებებს. არ მიმაჩნია ამ კატეგორიის ადამიანის ჩამოყვანა სწორად. ერთი ჯგუფი ფიქრობს, რომ ბეზრუკოვი უნდა ჩამოვიდეს, კი ბატონო, მაგრამ მე ასე ვთვლი და აზრს არ შევიცვლი. მე მგონი, ქართველ მაყურებელთა უმრავლესობა იქ არ მივა.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ხრამი-2
KHRAMI-2

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №CONST-14/07 ღია კონკურსს №9 ენერგობლოკის კონდენსატორის მილების მექანიკური გაწმენდის სამუშაოებთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალებისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის" შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №2ა.

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 10 მაისი, 15 საათი.*

ხრამი-2
KHRAMI-2

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №INVO-14/05 ფასთა ღია გამოკითხვას ტრანსფორმატორების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალებისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის" შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №2ა.

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 24 აპრილი, 15 საათი.*




# რატომ გადაწყვიტა „ერისიონმა“ მოსკოვში გასტროლები ოქტომბერში?

ანსამბლი „ერისიონი“ მოსკოვში კონცერტებს მაინც ჩაატარებს, მაგრამ არა აპრილში, არამედ 29 ოქტომბერს და არა კრემლში, არამედ „კროკუს სითი ჰოლში“. ანსამბლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ლელა წიკლაური ამბობს, რომ ოქტომბრის კონცერტი, აპრილში ჩაშლილი კონცერტის სანაცვლოდ ჩატარდება, თუმცა ანსამბლის გამგზავრებაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ.

„ველაპარაკე როგორც ჯემალ ჭკუასელს, ასევე საპროდიუსერო სახლის ხელმძღვანელს ალეკო ლორთქიფანიძეს. ეს არის ის გადადებული კონცერტი, რადგან გახსოვთ, ალბათ, რომ ჩვენ უარი ვთქვით კრემლზე უკრაინისადმი სოლიდარობის გამო. ძალიან სერიოზული და კოლოსალური ჯარიმა იყო, აქ მილიონებზეა საუბარი და ამავე დროს რეპუტაციაზეც. როდესაც მსოფლიოში სიდიდითა და რეიტინგით მესამე საკონცერტო დარბაზზე ამბობ უარს, აქ რეპუტაციის შელახვაზეც არის საუბარი. შესაბამისად, გამწარებული საპროდიუსერო კომპანია და მეორე მხარე საუბრობდა მაქსიმალურ ჯარიმაზე. სწორედ ამიტომ მოიძებნა ასეთი გამოსავალი. რადგანაც ბილეთები უკვე გაყიდული იყო და ვერავინ წარმოიდგენდა ერთი წლის წინათ, ყირიმში რა მოხდებოდა. არ ვიცით, ჯერ ზუსტად რას ვიზამთ, პროცესი ჯერჯერობით მოლაპარაკების სტადიაშია, თუმცა ზუსტად არ ვიცით, რა ბედი ეწევა სანქციებს. ჩვენი უარი შეურაცხმყოფელი იყო მათთვის“, – ამბობს ლელა წიკლაური.

**რა დონეზეა მოლაპარაკებები და რა შემთხვევაში იტყვიან საბოლოო უარს მოსკოვში წასვლაზე?**

**ამის გასარკვევად „ალია“ ლელა წიკლაურს დაუკავშირდა:**

– იცით, რომ წარმოიქმნა სერიოზული პოლიტიკური პრობლემები ყირიმში განვითარებული მოვლენების გამო და „ერისიონი“ იძულებული იყო, ხელშეკრულება გაეწყვიტა, მოსკოვში არ წასულიყო, გადაწყვეტილება სოლიდარობის გამოცხადების საფუძველზე მთლიანად ანსამბლმა მიიღო, თუმცა სერიოზული პრობლემის წინაშე დადგა ჭკუასელიც და ანსამბლის რეპუტაციაც. როცა ირღვევა ასეთი გრანდიოზული შეთანხმებები, არასანდო იმიჯი გექმნება. კრემლის საკონცერტო დარბაზი მსოფლიოს სამეულშია შესული, მასზე ბევრი აღიარებული და ცნობილი საპროდიუსერო კომპანიები მუშაობენ, როცა შენ ცალმხრივად, პოლიტიკური მოსაზრებების გამო წყვეტ ხელშეკრულებას, ეს საპროდიუსერო კომპანიები ყოველნაირად ცდილობენ, შეგილახონ რეპუტაცია, რომ ანსამბლი სანდო არაა, რადგან თუნდაც სოლიდარობის გამო შეავწყვიტეთ კონტრაქტი.

**— ეს ხომ მხოლოდ სოლიდარობა არაა, ეს ხომ ეროვნული საკითხია, შეიძლება საქართველოსაც შეექმნას საფრთხე, ამას არ ითვალისწინებენ საპროდიუსერო კომპანიები?**

– გეთანხმებით, რომ ეროვნულია, პრობლემების შექმნა ამასთან დაკავშირებით მოხდა, თუმცა „ერისიონი“ მსოფლიო დონის ანსამბლია და ამით არა მგონია, რეპუტაცია შეელახოს. კარგად იციან „ერისიონის“ პროფესიონალიზმის შესახებ, ბოლოს და ბოლოს, ოქროს დისკი აქვს, რომელიც ერთეულებს აქვთ მიღებული.

– 29 ოქტომბერს გეგმავთ კონცერტს და არავინ იცის, რა მოხდება მანამდე. ამერიკული და ბრიტანული დაზვერვა აცხადებს, რომ პუტინი საქართველოში შემოჭრაზეც ფიქრობს. ასეთი ალბათობა გათვალისწინებული გაქვთ?

– აი, საქმეც მაგაშია, სწორედ ამიტომ ავიღეთ 29 ოქტომბერი, ანუ ყველაზე გვიანი პერიოდი, ამ ნიშნით შეირჩა. საპროდიუსერო კომპანიებიდან წამოვიდა ასეთი შეთავაზება, ხომ არ გადაიდოს და ჩატარდეს არა კრემლში, არამედ „ჰოლში“ კონცერტები, რაც შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში. მათ თქვეს, მაშინ ჩვენ საჯარიმო სანქციებს შევაჩერებთო. ამ შეთავაზებაზე ჯერ არ გვაქვს ზუსტად გადაწყვეტილება მიღებული, ჯერ კიდევ გასარკვევია იქ გარკვეული მუხლები, რთული აღმოჩნდა პროცედურები.

**— კონკრეტულად რა აღმოჩნდა რთული?**

– ვგულისხმობ ამ საპროდიუსერო კომპანიებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო გარკვეულ სანქციებს. მიდის ახლა მოლაპარაკებები და ბრძოლა იმაზე, რომ განახლდეს „ერისიონის“ ფორმები. თქვენ არ იცით, რამდენი წლის ფორმებს იყენებენ, ძალიან დაძველდა და განახლებას საჭიროებს. არ გვაქვს ამის თანხა და ეს სერიოზული დარტყმა იქნება ანსამბლისთვის.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

## შავფაროსნებმა ჰოლივუდელი ფოტოგრაფი დაჭრეს



შავფაროსნებმა ფოტოსესიის დროს, თბილისში სტუმრად მყოფი „ემის“ მფლობელი ჰოლივუდელი ფოტოგრაფი შემთხვევით დაჭრეს.

საქართველოსა და „შავფაროსნებზე“ შეყვარებულმა ჯეიმს ჰიგინსონმა ქართული საბრძოლო ხელოვნების მებრძოლებთან რესტორან „ძველ სახლში“ მორიგი ფოტოსესია მოაწყო.

ფოტოსესიის დროს ფოტოგრაფი შუბლში დაიჭრა. ის მოულოდნელად მიუახლოვდა მოფარიკავე წყვილს და მოქნეული ხმალი შუბლში მოხვდა. მძიმე ჭრილობისგან ჰიგინსონი თავისმა ფოტოაპარატმა გადაარჩინა. რომელმაც მოქნეული ხმლის ინერცია შეანელა. ფოტოგრაფი და რეჟისორი, რომელიც ჰოლივუდში 17 წელი მუშაობდა, საქართველოს უკვე მესამედ ესტუმრა. პირველივე სტუმრობისთანავე შავფაროსნების მებრძოლები მისი მუზა გახდნენ და ყოველი ვიზიტისას მათთან ახალ ფოტოსესიას აწყობს.

როგორც ჰიგინსონი აცხადებს, ის ძალიან მოიხიბლა ქართველი ისტორიული მებრძოლების ფენომენით, მათი სამოსით, აღჭურვილობით და საბრძოლო ოსტატობით, ამიტომ საქართველოში ჩამოსვლა შავფაროსნების გარეშე ვერ წარმოუდგენია.

„მსოფლიოს სიამოვნებით გავაცნობ ქართული კულტურის ამ მნიშვნელოვან ნაწილს. „შავფაროსნები“ უკვე ჩემი მეგობრები არიან. მათთან მესამედ ჩამოვედი. ფოტოების გარდა, მათზე და საქართველოზე ფილმსაც ვიღებ. ფილმის გადაღება გასულ წელს დავიწყე. ახლა მონტაჟის პროცესშია. დასრულების შემდეგ უცხოელ მაყურებელთან ერთად, მისი ნახვა ქართველ მაყურებელსაც შეეძლება. საქართველოში კიდევ ვაპირებ ჩამოსვლას. საქართველოზე ასევე ფოტოალბომს ვამზადებ. ცალკე ალბომი იქნება შავფაროსნებზე“, – განაცხადა ჯეიმს ჰიგინსონმა. (ნიუპოსტი)

## „მერე კიდევ ვიღაც იტყვის — „რუსეთი რატომაც არა?“



პარტია „საქართველოს გზის“ საპატიო თავმჯდომარე სალომე ზურაბიშვილი, 1989 წლის 9 აპრილს განვითარებულ მოვლენებს სოციალური ქსელის საშუალებით ეხმაურება.

„9 აპრილი და გავიდა 25 წელი... და რაოდენ ძვირად – იმ დღიდან დაწყებული – დაუჯდა საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა და დამკვიდრება: ომი, შიმშილი, სიცივე, ტერიტორიების დაკარგვა, ამდენი ხალხის წასვლა ქვეყნიდან დროებით თუ სამუდამოდ და ამ ყველაფრის მერე კიდევ ვიღაც იტყვის: „რუსეთი რატომაც არა?“...

რუსეთთან თუ და როცა შედგება მოლაპარაკება – და ეს უთუოდ შედგება, რამეთუ გეოგრაფიამ ამ ადგილას და მის მეზობლად დაგვაყენა – ეს უნდა იყოს ამ 25 წლის გათვალისწინებით, იმის შეგნებით, რომ მოლაპარაკების ზურგი სწორედ იმ მსხვერპლისგან შედგება, იმ ადამიანებისგან, რომლებიც შეეწირნენ ჩვენს დამოუკიდებლობას. სხვანაირად ეს მოლაპარაკება კი არა, პირდაპირ მათი ღალატი იქნება და ჩვენს თავსა და თვითმყოფადობაზე უარის თქმა“, – წერს სალომე ზურაბიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მოხეტიალე წიგნები“ საქართველოში



ეს ახალი პროექტია, რომლის საშუალებითაც ქართველ მკითხველს წიგნის წაკითხვა ნებისმიერ ადგილას შეუძლია. იდეის ერთ-ერთი ავტორია მწერალი ჯაბა ზარქუა. მისი თქმით, წიგნი ქალაქში იხეტიალებს და მკითხველი თავად იპოვის მას.

„გამარჯობა! მე მოხეტიალე წიგნი ვარ, ჩემმა პატრონმა სამოგზაუროდ გამომიშვა, წამიკითხე და სადმე დამტოვე“, – მსგავსი წარწერით წიგნები ნებისმიერ ადგილას შეიძლება იპოვოთ.

არსებობს ორი პირობა მათთვის, ვინც მოხეტიალე წიგნს იპოვის: ადამიანი, რომელიც ახალ წიგნს სხვადასხვა ადგილზე ნახავს, აუცილებლად უნდა წაიკითხოს, შემდეგ კი სხვა ადგილზე დატოვოს, სადაც წიგნი ახალ მკითხველს დაელოდება. (ნიუპოსტი)

## სამხედრო ძალით შექმნილ ბარიერებს ადამიანური ურთიერთობები ანგრევს



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი საოკუპაციო ზოლთან მავთულხლართების გაბმის პროცესს ეხმაურება.

„ეს პროცესი სწორად უნდა გავიგოთ, ეს პროცესი მიმართულია იმ ხალხის წინააღმდეგ, ვინც ცხოვრობს ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ასევე იმ მოქალაქეების წინააღმდეგ, ვინც ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩნენ, იმიტომ, რომ სურთ ერთად ცხოვრება. მოწოდებულები ვართ კონფლიქტის მოსაგვარებლად, ეს ბარიერები კი იქმნება იმისთვის, რომ ადამიანებს ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ. ჩვენ ამ პროცესს ვაპროტესტებთ და მინდა გითხრათ, რომ ბარიერებს, რომლებიც სამხედრო ძალით იქმნება, ადამიანური ურთიერთობები ანგრევს“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. (ნიუპოსტი)

## ლევან ვეფხვაძე მინისტრობისთვის ემზადება



„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ახვლედიანის განცხადებით, „ქდმ“-ის წევრი ლევან ვეფხვაძე „ნიადაგს ქმნის იმისთვის, რომ მინისტრობის ღირსეული კანდიდატი იყოს“. ახვლედიანს არ დაუკონკრეტებია, რომელი უწყების ხელმძღვანელად მოიაზრებს საკუთარ თავს ლევან ვეფხვაძე.

„ლევან ვეფხვაძეს პარტია არ დაუტოვებია. მან უბრალოდ პოლიტიკური ტაიმაუტი აიღო. ის უახლოეს ერთწლიან პერიოდს განათლებას დაუთმობს. ლევან ვეფხვაძე ნიადაგს ქმნის იმისთვის, რომ მინისტრობის ღირსეული კანდიდატი იყოს. ის საქართველოდან გამგზავრებას შემოდგომისთვის გეგმავს და როცა ჩამოვა, კვლავ ერთ გუნდში გავაგრძელებთ მუშაობას“, – განაცხადა გიორგი ახვლედიანმა და დასძინა, რომ „ლევან ვეფხვაძე მინისტრობის რეალური კანდიდატი იქნება“. (ფრონტნიუსი)

## „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ ბათუმში სამშენებლო მასალებს ვეღარ მოიპოვებს

პრემიერის განკარგულებით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმში, ადლიის სანაპირო ზოლში ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობის მიზნით, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ სასარგებლო წიაღისეულის (სამშენებლო მასალა) მოპოვების ლიცენზიისგან 3 თვის ვადით თავისუფლდება და ეძლევა უფლება, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მოიპოვოს 100 000 (ასი ათასი) მ3 ანდეზიტი. ამასთანავე, დოკუმენტში მითითებულია, რომ „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ ვალდებულია, უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნით განსაზღვრული პირობების შესრულება“. გარდა ამისა, კომპანიამ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული მხოლოდ სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული მიზნებისთვის უნდა გამოიყენოს, „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისგან განთავისუფლებისთვის, განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 10 000 ლარის გადახდა უნდა უზრუნველყოს. (ფრონტნიუსი)

## პატიმრებისთვის პროფესიული სასწავლებელი გაიხსნება



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის, სოზარ სუბარის ინფორმაციით, აპრილში რუსთავის მე-16 დაწესებულებაში პროფესიული სასწავლებელი გაიხსნება და პატიმრები 7 პროფესიის შესწავლას შეძლებენ.

„ვგეგმავთ, რომ იქვე გაკეთდეს ფეხსაცმლის სამკერვალო ქარხანა. ამის თაობაზე მოლაპარაკება გვაქვს უცხოურ ფირმებთან, რომლებიც ქარხნის გაკეთებასაც გვპირდებიან და ბაზრის მოძებნასაც. იქ დასაქმებული პატიმრები ხელფასს აიღებენ და ტვირთად აღარ დააწვებიან თავიანთ ოჯახებს. პატიმრების სწავლება ყველაზე სერიოზული სამომავლო ამოცანაა“, – განაცხადა მინისტრმა. (რეპორტიორი)

# თუ ამერიკა და ევროპა არ გვიცავს, რუსეთზე „პაჟალუსტასაც“ გვაძახებინებს?



**მიუხედავად იმისა, რომ ქართველი და უცხოელი ექსპერტები, პოლიტოლოგები, ამერიკის მთავარი მზვერავები რუსეთის მომავალ აგრესიაზე უკვე ღიად ლაპარაკობენ, ჩვენი ხელისუფლების წევრები მშვიდად არიან და ისე საუბრობენ, თითქოს დედამიწის ზურგზე საერთოდ არაფერი ხდება. პოლიტოლოგ ხათუნა ლაგაზიძის შეფასებით კი, საქართველო დღეს მართლა დგას იმ საშიშროების წინაშე, როდესაც შეიძლება, დაკარგოს დამოუკიდებლობა.**

**— ქალბატონო ხათუნა, მაშინ, როცა აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში საზღვრების გამაგრება და შეიარაღების გაძლიერება დაიწყეს რუსეთის აგრესიის შიშით, რატომ არის ჩვენი ხელისუფლება ასე მშვიდად?**

– მოდი, ჯერ ჩამოვთვალოთ რისკები და მერე იმის მიხედვით ვიმსჯელოთ, რა საშიშროების წინაშე ვდგავართ: რუსეთის მხრიდან ლშეკრულებაზე ხელის მოწერის წინ. ამან კი შეიძლება ძალიან სერიოზულად გაართულოს სიტუაცია. ალბათ, ევროკავშირმაც უნდა დააჩქაროს ხელმოწერა და მაისში გადმოსწიოს. ამ რისკების ჩამონათვალი ჩვენ გვავალდებულებს, რომ უნდა ვიყოთ მაქსიმალურად ფრთხილად. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთს, ამერიკელების მხრიდან უკვე ითქვა: თუ ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანას საფრთხე დაემუქრება, ნატო დაიწყებს სამხედრო მოქმედებებს. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნების მზადება, საზღვრების გამაგრება თუ შეიარაღების გაზრდა გასაგებია, მათი მხრიდან ამას აზრი ნამდვილად აქვს. თუკი მათ უკან დგას „ნატო“ და ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რაც თავდასხმის შემთხვევაში სამხედრო ჩარევას ავალდებულებს, ჩვენ მარტო ვრჩებით. ალბათ, ჩვენი მხრიდან მზადება უფრო ღირსების საქმე იქნება, ამისთვის მზადება რეალურად არსებობს, ამას თვალნათლივ ვხედავთ. უკვე ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოში რიგდება რუსული პასპორტები. ასევე, ჯერ კიდევ ყირიმში შეჭრამდე იყო ლაპარაკი, რომ შესაძლებელი იქნებოდა რეფერენდუმის ჩატარება სამხრეთ ოსეთში და ამის შემდეგ ის მიუერთდებოდა ჩრდილოეთ ოსეთს, ანუ რუსეთს. ახლა ირკვევა, რომ რეფერენდუმი შეიძლება ჩატარდეს მაისში. ამავე დროს, დამაფიქრებელია თბილისში პრორუსული ჯგუფების გააქტიურება და დაპირისპირება. არავინ იცის, ეს დიდ პროვოკაციაში როდის გადაიზრდება. ჩვენ დავინახეთ, რომ 9 აპრილის აღნიშვნაც კი ვერ შევძელით მცირე დაპირისპირებების გარეშე. რაც ჩამოვთვალე, ეს გახლავთ შიდა რისკები, რასაც უნდა მივამატოთ გარე რისკებიც... საგარეო ფლანგზე ასეთი მდგომარეობაა: თუ რუსეთი შეიჭრა აღმოსავლეთ უკრაინაში, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ უფრო შორსაც წავა. მე ამ შემთხვევაში ნატოსგან რაიმე დახმარებას გამოვრიცხავ.

**— მე მგონი, რუსეთი ბალტიისპირეთშიც რომ შეიჭრას, ნატო იმათაც არ დაეხმარება.**

– ჯერ ვთქვათ იმაზე, რატომ გაჩნდა სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმის ჩატარების იდეა და თანაც მაისში? ეს ხდება ასოცირების ხევიდრე რეალური შედეგის მიღება.

როცა ვხედავთ, რომ ამერიკამ და ევროპამ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე რუსეთს საკადრისი პასუხი ვერ გასცა, გამორიცხულია, რომ დღეს ვინმეს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა აწყობდეს. ამჟამად დასავლეთი ძალიან დიდ სიფრთხილეს იჩენს და პრინციპში, საქართველოსგანაც იგივეს ითხოვენ – მოზომილი პოლიტიკა უკვე ჯდება საერთო ინტერესებში. დღეს რა ხდება? პირველი – ახლა დღის წესრიგში დგას საქართველოს დამოუკიდებლობის გადარჩენის იდეა; მეორე – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშე მაინც და მესამე – წინააღმდეგობა უნდა იყოს მსხვერპლის გარეშე, აღარაფერს ვამბობ ეკონომიკის დანგრევასა და სხვა საკითხებზე. ჩვენ გადავდივართ თვითგადარჩენის რეჟიმზე.

**— თვითგადარჩენის რეჟიმი ნიშნავს იმას, რომ უნდა დავნებდეთ?**

– არა, ყველაზე უკეთესი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, არის ის, რომ არ უნდა წამოვეგოთ პროვოკაციაზე. დღეს ჩვენი ხელისუფლების მხრიდან არ უნდა იყოს რუსეთის მიმართ აგრესიული გამოხტომები, ეს ყველაზე საშიშია.

**— ისე, ისეთი შეგრძნება მაქვს, თუ რუსეთი შემოიჭრა, დასავლეთის უნიათობით გაწბილებული საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ყვავილებით შეხვდება.**

– თუ სხვადასხვა ჯგუფების გააქტიურებას შევხედავთ, ასე იქნება, მაგრამ, თუ საქართველომ 200-წლიანი გაკვეთილიდან სათანადო დასკვნა ვერ გამოიტანა, მაშინ ღმერთმა შეარგოს.

**— ამაში მხოლოდ მოსახლეობას ვერ გავამტყუნებთ, ჩვენი დასავლელი მეგობრები აღშფოთების მეტს არაფერს აკეთებენ.**

– ჩვენ ახლა ერთი რამ გვმართებს, როგორმე თავი უნდა გადავირჩინოთ, როგორმე თავი უნდა ავარიდოთ პროვოკაციებს. გარე პროცესებს თუ დავაკვირდებით, ბევრი რამ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ვნახოთ, რას იზამს რუსეთი უკრაინაში.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თეა წულუკიანი შალვა შავგულიძის საკანონმდებლო ინიციატივას მხარს უჭერს



თეა წულუკიანის განცხადებით, პარლამენტში იხილება კანონპროექტი „ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შესახებ“, რომელიც პარლამენტარების ჯგუფის მუშაობის ძალიან კარგი შედეგია.

იუსტიციის მინისტრი საკანონმდებლო ინიციატივას მიესალმება, რადგან, მისი თქმით, პროექტი რეგულირებას აწესებს, თუ როგორ უნდა იყოს მოქალაქე დაცული უკანონო მოსმენებისგან.

„ჩვენ ადამიანის უფლებები ერთ-ერთ პრიორიტეტად გვაქვს არჩევნებიდან მოყოლებული. სწორედ იმას ვებრძოდით წინა ხელისუფლების პირობებში, რომ ადამიანის უფლებები, ღირსება იყო ფეხქვეშ გათელილი, ამიტომ შალვა შავგულიძის საკანონმდებლო ინიციატივას მე, რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერ“, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

უკანონო მიყურადებასთან და ფარული ჩანაწერების გამოყენებასთან დაკავშირებით „სისხლის სამართლის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები მკაცრდება. (ნიუპოსტი)

## ბათუმში მეჩეთი აღარ აშენდება



როგორც რეგიონის მთავრობაში აცხადებენ, ბათუმში, ქუთაისის ქუჩაზე მდებარე მეჩეთი გაფართოვდება. ამის შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას ჯერჯერობით მუსლიმანთა სამმართველოში არ ფლობენ. მეჩეთის შესაძლო გაფართოებასთან დაკავშირებით ხელისუფლებას ამ ეტაპზე არც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთვის მიუმართავს.

„ამ ეტაპზე ვფიქრობთ, რომ მოხდეს მისი გაფართოება და ეს არის ერთმნიშვნელოვანი. ჩვენ ვიყავით პრემიერთან ერთად მეჩეთში, მოვინახულეთ მრევლი. გასათვალისწინებელი არის ის, რომ ხალხს სწორად ლოცვის საშუალება უნდა მიეცეს“, – განაცხადა არჩილ ხაბაძემ.

აჭარის მთავრობის ინიციატივას მრევლი არ ეთანხმება, მათივე თქმით, მრავალრიცხოვანი მრევლის გამო მეჩეთის გაფართოებას არ ეთანხმებიან. ისინი ახალი მეჩეთის აშენებას ითხოვენ. (კვირა)

ხრამი-2
KHRAMI-2

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №INVO-14/06 ფასთა ღია გამოკითხვას - К-300-240-3 ტიპის ტურბინის სარეზერვო როტორების დეფექტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალებისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის" შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2ა.

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 24 აპრილი, 15 საათი.*



# ის, რაც ტელევიზიებმა არ აჩვენეს

## რით დაიწყო 9 აპრილს კონფლიქტი „ნაცებთან“



„მელია, შენ აქ მოსვლის უფლება ვინ მოგცა, შე ქათამო“, – ეს სიტყვები 9 აპრილის ღამეს მემორიალთან ხმამაღლა ისმოდა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ უკვე რამდენი წელია, 9 აპრილის აქციაზე თითო ინციდენტი რომ არ მოხდეს, გამორიცხულია. არც წლევანდელი აქცია ყოფილა გამონაკლისი.

შუაღამისას დაახლოებით 12 საათზე სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია: ყურადღება, რუსთაველზე პარლამენტის წინ მიმდინარეობს პატრულის კონცენტრირება, ცუდია მოსალოდნელი და მხარში დაგვიდექით პოლიტპატიმრებს“. აღმოჩნდა, რომ მემორიალთან „ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატ ნიკა მელიას მისვლა იგეგმებოდა და პოლიციამ, სავარაუდოდ, „სტო პერიოდი“ დაიჭირა და მემორიალთან სიტუაცია გაამაგრა. ისე, არც თუ უსაფუძვლოდ, რადგანაც 9 აპრილის ღამეს „ნაციონალები“ სასწაულად გადაურჩნენ მიტყეპას, რომ არა პატრული, დაპირისპირება უფრო გამძაფრდებოდა.

**რა მოხდა სინამდვილეში მემორიალთან? რატომ არ მიუშვეს ნიკა მელია და მისი ამალა 9 აპრილის მემორიალთან?**

**გვესაუბრება ყოფილი პოლიტპატიმარი რამაზ გაგნიძე:**

– უკვე მე-15 დღეა, ყოფილი პოლიტპატიმრები, პოლიტდევნილები და პოლიტრეპრესირებულები, რომლებსაც ამ ათი წლის მანძილზე არაფერი დაგვკლებია, არც დარბევა, არც დაწიოკება და არც ციხეში გამომწყვდევა, აქციას ვმართავთ პარლამენტთან და ვითხოვთ სამართლის აღდგენას. კონკრეტულად ვითხოვთ ამ პროკურორებისა და მოსამართლეების საქმეების გადახედვას და სავარაუდოდ, მათ დაჭერას, ვინც ხალხი გაგვამწარა. აქცია პერმანენტულად მიმდინარეობს, ღამღამობით დაახლოებით 20 კაცი ვრჩებით და დღე უკვე ბლომად მოდიან. შუაღამისას მოვიდა ინფორმაცია, რომ „ნაციონალები“ უნდა მოსულიყვნენ და მათი „ნაცზონდერები“. გვითხრეს და ეს რომ უეჭველი ინფორმაცია იყო, დადასტურდა იმით, რომ ზუსტად ღამის ორ საათზე გავიხედეთ და მოვიდა ეს თბილისის მერობის კანდიდატი ნიკა მელია, კაცი, რომელიც არის კრიმინალი, 7 ნოემბერს და 26 მაისს რომ ატყავებდა ცემაში მომიტინგეებს და არ ერიდებოდა არაფერს.

— **ნიკა მელია ყოფილი „ზონდერია“?**

– აბა, რაა... 26 მაისის ფოტოებშიც არის ამოცნობილი და პირადად ნაჩხუბარიც ვარ მაგასთან 7 ნოემბერს. ეგ 7-ში გადაცმული იყო ყვითელ ლაბადაში და ეგ არის მაგათი ყოფილი „ზონდერშეფი“. ეგ მელია არის „ზონდერ“ გია უდესიანის „კამანდიდან“, ასევე უგულავას „შნირი“ და მაგათი ყველა საზიზღარი საქმის შემსრულებელი. ანუ, რიგით კრიმინალზე მეტი კრიმინალია, რომელიც დღეს არის ცხვრის ქურქში გამოწყობილი და ეს ვაჟბატონი აპირებს ქალაქის მერობას.

— **გუშინ როგორ მოვიდნენ?**

– ეგა და „თავისუფალი ზონა“ მოვიდნენ ერთად, ერთსქესიანები და ჰერმაფროდიტები რომ არიან, აი, ეგენი ედგნენ გვერდით და ვითომ 9 აპრილისთვის უნდა ეცათ პატივი. სინამდვილეში ეს იყო პროვოკაცია. „თავისუფალ ზონას“ ეჭირა რაღაც ბანერები და მოვიდნენ და გამომწვევად დადგნენ. ჩვენ, ეს პოლიტპატიმრები, არავის ვერჩოდით, ან რატომ უნდა დავტაკებოდით ვინმეს? მაგრამ ესენი რომ დადგნენ პირველი სკოლის ჩამოსახვევთან, ჩვენც იქ ვიდექით და დაგვიწყეს რაღაც შეძახილები. ეს იყო გამოწვევა. ამ ამბის დაწყება და მათი შეძახილები არ აჩვენა არც ერთმა ტელევიზიამ, ეგენი ხომ კოჰაბიტაციაში არიან და არ აწყობთ, არადა უმეტესობა იქ იყო. ჩვენკენ რომ დაიწყეს ხელის გამოშვერა, მივედი მელიასთან და ვკითხე, ხომ ხარ მელია-მეთქი? ახლა მომისმინე-მეთქი, რუსთაველზე შენ არათუ მემორიალთან მოსვლის, გავლის უფლება არ გაქვს, იმიტომ რომ შენ აქ აქციების დროს ხალხი სისხლში ჩაახრჩვე ბასიშვილთან და უდესიანთან ერთად მოაწყვეთ ის ბონი-მეთქი. და არ გინდაო, პროვოკაციაზე რას მოდიხარო. ამ დროს ვინ ააგდო პროვოკაცია, ხომ ხვდებით? დასაწყისში ძალიან კულტურულად ველაპარაკე. სხვათა შორის, ეტყობა, შიშის ფაქტორი იყო, და დასაწყისში ისიც წყნარად მელაპარაკა. ამ დროს, რომ ვლაპარაკობთ, ამაში ჩაება მაგათი „ზონდერი“ ბესო გაზდელიანი, ამ გაზდელიანმა, მერე გავიგეთ და ეგ როგორ გამომრჩა, მანამდე თურმე სლოვაკეთის დროშა დაწვა. ეს გაზდელიანიც უგულავას „შნირია“, ახლა მერიაშია და თავის დროზე იყო მთაწმინდის გამგებლის მოადგილე და ეს გაზდელიანი აგრესიულობდა ჩემ მიმართ. მაშინ კი გავიწიე ამ გაზდელიანისკენ. მინდოდა დამერტყა. იმიტომ, რომ მაგ გარეწრებს, სადაც ვნახავ, იქ ვცემ, რადგანაც ეგ ხალხი არ არის, ქათმები არიან. მაგათ სადაც წავასწრებ, დედას ვფიცავარ, იქ გავლახავ. პატრულმა იყოჩაღა მაგათთვის, კორდონი გააკეთეს და გაგვყვეს შუაში. ეგენი იყვნენ 100, ჩვენ – 50, პატრული კი 300 კაცამდე. უბრალოდ, ვერ მივწვდი. მერე დაიწყეს გინება, თქვენ პოლიტპატიმრები კი არა გარეწრები ხართო. საქართველოს გამყიდველები გვეძახეს ჩვენ, ხომ კაია? რა შუაშია პატიმარი და გამყიდველი, ხომ არ იცით? ერთი სული მქონდა, პატრული გამეწია და ჭკუაზე მომეყვანა, მინდოდა დამერტყა და ვერ შევძელი. რაც მაგათ ამ წლების მანძილზე გვირტყეს და გაგვამწარეს, ეგენი ამის ღირსები არიან. ამ შეხლა-შემოხლის შემდეგ მალევე წავიდნენ და ეგ მელია თურმე გამოვიდა და ტელევიზორში ამბობს, რომ იქო ეს პოლიტპატიმრები ნასვამები იყვნენო. რა ნასვამები? 15 დღეა იქ ვათენებთ და ერთი ვიდეოკამერები ნახონ, ვინ სვამს. ამ გაზდელიანმა თურმე მანამდე სლოვაკეთის დროშა დაწვა, რუსული მეგონაო და არ იყო ესეც შანტაჟი და პროვოკაცია? დიდი მადლობა „ალიას“, ამას რომ წერთ. ერთს ვიტყვი და დავასრულებ: მთელი ამდენი ხნის მანძილზე მთავრობიდან მარტო გედი ფოფხაძე მოვიდა და დაგველაპარაკა, რას აპროტესტებთო. სხვა არავინ მოგვკარებია და რა ჰქვია ამას? კითხვას ვსვამ, ნუთუ ჩვენი ბედი არავის აინტერესებს? არ ვიცი.

**კომენტარისთვის დავუკავშირდით ნიკოლოზ მელიას:**

– რაო? „ზონდერი“ იყო მელიაო? მოდით, იქიდან დავიწყოთ, რომ 25 წელია ხალხი მიდის მემორიალთან და პატივს მიაგებენ და პირველი შემთხვევა იყო, რომ არ მიგვიშვეს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო პროვოცირებული შემთხვევა. ასეთ ბრალდებაზე რა უნდა ვუპასუხო? თბილისი არცთუ ისე დიდი ქალაქია, რომ არ ვიცოდეთ, ვინ ვინ არის. 7 ნოემბერს სტუდენტი ვიყავი და ქვეყანაშიც კი არ ვიყავი. ამ ბრალდებებს სირცხვილია, რომ ვპასუხობ. რა გვარები ბრძანეთ?

— **გაზდელიანი და უდესიანი.**

– წარმოდგენა არ მაქვს მაგათზე, ვინ არიან. არაფერს მეუბნება ეგ გვარები.

— **მოიცათ, უდესიანი და გაზდელიანი არ იცით, ვინ არიან?**

– ჩემი ვინ არიან, რატომ უნდა ვიცოდე?

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დავით ბაქრაძე რუსეთისთვის ადეკვატური სანქციების დაკისრებას ითხოვს



საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით ბაქრაძე იმედოვნებს, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რუსეთის მიმართ პრინციპულ რეზოლუციას მიიღებს.

„ჩვენ მოვამზადეთ რამდენიმე დამატება და ცვლილება რეზოლუციაში, რომელიც ამკაცრებს რუსეთის პასუხისმგებლობას. ჩვენი თვითმიზანი რუსეთთან დაპირისპირება არაა. ჩვენი მიზანია, რომ ყველა ის ნაბიჯი, რომელიც საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება, ადეკვატურად იქნეს რეაგირებული და რუსეთს დაეკისროს ადეკვატური სანქციები, არა მხოლოდ იმაზე, რასაც ის დღეს აკეთებს, არამედ იმაზეც, რაც მან გააკეთა და აგრძელებს საქართველოში“, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ კენჭი უნდა უყაროს უკრაინის შესახებ სპეციალურ რეზოლუციას. პროექტი ევროსაბჭოში რუსეთისთვის ხმის უფლების შეჩერებას ითვალისწინებს. (კვირა)

## ძველი ობიექტების ევროსტანდარტებთან მისაახლოებლად ახალი კანონპროექტი მზადდება



პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის, გია ცაგარეიშვილის განცხადებით, გარემოს დაცვის სამინისტრო, სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად, კანონპროექტს ამზადებს, რომელიც შეეხება მხოლოდ საბჭოეთის პერიოდში, გასული საუკუნის შუა წლებში აგებულ უმსხვილეს ობიექტებს, სადაც ეკოლოგიური მდგომარეობა „კატასტროფული ან კატასტროფულთან მიახლოებულია“. ინიციატივის ერთ-ერთი მიზანი ობიექტების მომზადება და ევროსტანდარტებთან მიახლოებაა.

ცაგარეიშვილი განმარტავს, რომ საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დროს აგებული უამრავი ობიექტია, რომელსაც გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) დღესაც არ აქვს და ვერც ექნება, რადგან მაშინ მშენებლობისა და ეკოლოგიური შეფასების სულ სხვა სტანდარტი იყო. მაგ: „ენგურჰესი“, ქარხანა-ფაბრიკები, თბილისის მეტრო, ზესტაფონის ფერო შენადნობთა ქარხანა, ნაგავსაყრელები.

„ვფიქრობთ, შევქმნათ კანონი, რომლის თანახმად, წარსულში შექმნილ საწარმოებს გზშ-ს აღება კი არ დასჭირდებათ, არამედ დასჭირდებათ სხვა სახის დოკუმენტის აღება. დაუდგინდებათ თარიღი. ამ ვადაში გამოასწორებენ ეკოლოგიურ მდგომარეობას წარმოებებში და ორგანიზაციებში. მოვაქციოთ რეგულაციებში და უმკაცრესი კონტროლის ქვეშ ვაიძულოთ, ეკოლოგიური მოთხოვნები დააკმაყოფილონ“, – აღნიშნა დეპუტატმა.

კომიტეტის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა, რომ სიახლე შეეხება მხოლოდ იმ შენობებს, რომლებიც გასული საუკუნის შუა წლებში აშენდა და არა თანამედროვე ეპოქაში აშენებულ ან ახლა მშენებარე ობიექტებს. მისივე თქმით, არც ერთი ახალი მშენებლობა, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროდან გზშ-ს გაცემას მოითხოვს, ამგვარი ეკოლოგიური შეფასებისგან არ განთავისუფლდება.

მისივე თქმით, კანონპროექტთან დაკავშირებულ საჯარო მოსმენებში ჩაერთვებიან გარემოს დამცველები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მოქალაქეები. (ინტერპრესნიუსი)

## „ამერიკის ხმამ“ რუსეთში მაუწყებლობა შეწყვიტა




რადიომაუწყებლობა „ამერიკის ხმა“, სახელმწიფო მედიაჰოლდინგ „რუსეთი დღეს“ მეთაურის, დიმიტრი კისილიოვის მიერ კონტრაქტის გაგრძელებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, რუსეთში მაუწყებლობას წყვეტს.

„ჩვენ არ ვაპირებთ თანამშრომლობას“, – ნათქვამია კისილიოვის პასუხში, რუსეთში მაუწყებლობაზე კონტრაქტის გაგრძელების მოთხოვნაზე, მაუწყებლობის საკითხებში აშშ-ის მართვის საბჭოსაგან (BBG), რომელიც „ამერიკის ხმისა“ და „რადიო თავისუფლების“ მუშაობას კოორდინირებას უწევს.

„მოსკოვმა არასწორი მიმართულება აიღო და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა გადაწყვიტა. ამ ფუნდამენტური ღირებულების, რომელსაც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა იზიარებს. BBG რუსული აუდიტორიისათვის ონლაინ-პლატფორმებისა და მონაცემების თანამგზავრული გადაცემის საშუალებით მუშაობას განაგრძობს“, – განაცხადა BBG-ის მეთაურმა ჯეფ შელმა და დასძინა: „ჩვენ თანაბარი პირობების წარმოდგენას ვითხოვთ: მაშინ, როდესაც მოსკოვის ზეწოლა მედიასივრცეზე ძლიერდება, რუსული საინფორმაციო საშუალებები, მათ შორის, კისილიოვის მიერ მართული არხი Russia Today, სარგებლობენ აშშ-სა და მთელ მსოფლიოში მაუწყებლობის ღია წვდომით“.

ბოლო დროს, რუსულმა მედიასივრცემ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა. ზოგიერთი, კრემლისთვის თავიდანვე არაკონტროლირებადი მედიარესურსიდან, მთელი რიგი მთავარი რედაქტორები სამსახურიდან გაათავისუფლეს. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## მთავრობა „თბილისი გოლფ კლუბს“ დავალიანების გადახდასა და საინვესტიციო პირობების შესრულებას სთხოვს



„თბილისი გოლფ კლუბს“ მთავრობამ დარჩენილი საპრივატიზებო საფასურის, 1,7 მილიონი დოლარის გადახდა 2014 წლის 26 მაისამდე გადაუვადა. ამასთანავე, ინვესტორმა 18-ხვრელიანი საერთაშორისო სტანდარტების გოლფის მოედნისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა 2016 წლის 1-ელ ივნისამდე უნდა უზრუნველყოს, ობიექტის მშენებლობაში კი, არანაკლებ 11 მილიონი ლარის ინვესტიცია ჩადოს.

ამიერკავკასიაში პირველი პროფესიული გოლფ-კლუბისა და უდიდესი რეკრეაციული კომპლექსის მშენებლობა ეკონომიკური განვითარების ყოფილმა მინისტრმა, ზურაბ პოლოლიკაშვილმა, ესპანელ ინვესტორთან, პედრო პასტორთან კრწანისში 2010 წელს წამოიწყო.

330 ჰექტარ ტერიტორიაზე გოლფის სათამაშო მოედნის გარდა, საცურაო აუზის, სილამაზისა და გამაჯანსაღებელი ცენტრების, სავარჯიშო დარბაზების, ჩოგბურთის მოედნებისა და მაღალი კლასის სასტუმრო და საკონფერენციო დარბაზების მშენებლობა 2013 წელს უნდა დასრულებულიყო. თუმცა, სამუშაოები კარგა ხანია, შეჩერებულია. ორი თვის წინ კი პოლოლიკაშვილმა აღნიშნული ობიექტის გამო აღსრულების ეროვნული ბიუროსგან 280 ათასი ლარის ოდენობის დავალიანების დაფარვაზე გაფრთხილების წერილი მიიღო. (ბპნ)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# რატომ არ იღებს პარლამენტი ანტისეპარატისტულ კანონს?

## რა არ სჯერა სოსო ცისკარიშვილს შს მინისტრის?

**პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი თბილისური მაიდანის მზადების შესახებ შს მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებას ეხმიანება და აცხადებს, „არ მჯერა, რომ შს მინისტრის ნათქვამი მისი ინდივიდუალური „ნაშრომია“.**

**რატომ დარჩა ასეთი შთაბეჭდილება და რა ვერსიები აქვს თავის ეჭვებთან დაკავშირებით?**

**„ალიას“ სოსო ცისკარიშვილი ესაუბრება:**

– თუკი ვინმე ამზადებს პროვოკაციებს ან სახელმწიფო გადატრიალებას, ეს ინფორმაცია უპირველეს ყოვლისა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის უნდა ყოფილიყო ცნობილი. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ახალგაზრდა მინისტრი არ გამოირჩევა არც სიტყვაუხვობით და არც ჟურნალისტებთან ხშირი ურთიერთობით არის განთქმული, ასეთი პირველივე სკანდალური ინტერვიუ, ჩემი აზრით, დამოუკიდებლად არ იქნებოდა გამჟღავნებული. მინისტრი აქტიური თანამშრომლობის გარეშე პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილთან, თუ ყოფილ პრემიერ ივანიშვილთან, ასეთ თამამ ინფორმაციას არ გაავრცელებდა. მიმაჩნია, რომ მას არც ასეთი აზრი მოუვიდოდა და არც ინიციატივის საფუძველი ექნებოდა ასეთი განცხადების გაკეთებისა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს ინტერვიუ შედგა მიწერ-მოწერის ფორმატში, ჭიკაიძეს გაუგზავნეს შეკითხვები და მან პასუხები წერილობით წარუდგინა რედაქციას. ამდენად, მეტია ალბათობა, რომ პასუხის შექმნისას ჭიკაიძე ცალკე და მარტო არ იყო ჩაკეტილი საკუთარ კაბინეტში. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს პასუხები შეთანხმებული იყო ყოფილ ან მოქმედ პრემიერთან, ან მათ მიერ ასეთ საკითხებზე უფლებამოსილ პირებთან მაინც იქნებოდა გადამოწმებული.

**— ღარიბაშვილს არაერთხელ დაუფიქსირებია თავისი კრიტიკული დამოკიდებულება „ნაციონალური მოძრაობისადმი“, ისიც ცნობილია, რომ პრემიერი ყოფილ მმართველ პარტიას პოლიტიკურ ძალად და კონკურენტად საერთოდ არ აღიქვამს, თვითონ ვერ გააკეთებდა მსგავს განცხადებას? მას ხომ ყველა უწყებიდან მისდის ინფორმაცია?**

– ვერ ვიტყვი, რომ ინფორმაცია, რომელიც გავრცელდა ამ ინტერვიუთი, წარმოადგენს რაიმე სოლიდურობის საფუძველს განმცხადებლისთვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს განცხადება გაკეთებულია გარკვეულ ფაქტებზე დაყრდნობით. ჯერ ერთი, საბურავი მაინც უნდა გვენახა სადღაც საწყობში შეტანილი, თორემ თავისთავად იმის დაშვება, რომ მაიდანის მსგავსი უწესრიგობა შედგეს ქვეყანაში და ხელისუფლება შეიცვალოს იმავე რეჟიმში, რაც კიევში მოხდა, რასაკვირველია, გახლავთ „ნაციონალური მოძრაობის“ ოცნება. თუმცა საქართველო ის ქვეყანა არ არის, სადაც ოცნებების რეალობად გადაქცევა სწრაფად ხდება. „ნაციონალური მოძრაობის“ უპირველესი მიზანი არის უმაღლესი თანამდებობების დაბრუნება და ამის შემდეგ მოდის ნებისმიერი სხვა საგარეო თუ საშინაო არჩევანი, ამიტომაც, ბუნებრივია, ნატვრა ექნებათ მაიდანის გადმოტანისა თბილისში. ეს ნატვრა რომ არსებობს უკვე დაადასტურა ამერიკის უნივერსიტეტიდან ხანგრძლივ „შატალოზე“ წასულმა სააკაშვილმა, რომელიც ტელევიზიით ბრძანებდა, მაიდანი გამეორდება თბილში და იმდენად მალე დავბრუნდები საქართველოში, რომ ამას ივანიშვილი ვერც წარმოიდგენსო. რატომღაც, ეს ფრაზები გიგა ბოკერიას მიერ „რუსთავი 2“-ისთვის მიცემული კომენტარისას სააკაშვილმა შეაფასა, როგორც სისულელე. რა სისულელეა ასეთ რამეზე საუბარიო, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ პირველად ეს თემა ტელევიზიით თვითონ გააჟღერა. აჟიოტაჟი, რომელიც გამოიწვია ახალგაზრდა მინისტრის ინტერვიუმ, შეიძლება შეფასდეს ძალიან კონკრეტული ფრაზით, „ჩიტი ბრდღვნად არ ღირს“ და ამაზე ყურადღების გამახვილებით, ასეთ დაძაბულ ვითარებაში, გარკვეულ მავნებლობასაც შეიძლება გამოვკრათ ხელი. ახლა სასწრაფოდ მისაღებია ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც უკრაინაში დაგვიანდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მიხვდნენ, რა კანონმდებლობა უნდა იყოს ქვეყანაში სეპარატიზმის საფრთხის დროს და მიიღეს შესაბამისი კანონები. მოლდოვამაც გაიმეორა იგივე და ახალი კანონები შემოიღო სეპარატიზმის თავიდან ასაცილებლად. ჩვენ, სოხუმისა და ცხინვალის შემხედვარე ჯერ კიდევ გულხელდაკრეფილნი ვართ. არც ვამკვიდრებთ ასეთ კანონმდებლობას და ამის შედეგს ვნახავთ იმ მოვლენების დროს, როცა გარკვეული ძალები რუსეთის დროშებსააფრიალებენ სხვადასხვა ქალაქში. ვიდრე ხალხს თვითონ მოუწყვია ლინჩის წესით გასამართლება რუსეთის დროშებით მორბენალი ადამიანებისა, უმჯობესია, რომ კანონის ძალით იყოს დასჯილი სეპარატისტული მოქმედებები. აი, ეს არის რეალური საფრთხე და არა საბურავების მომარაგება ყოფილი მმართველი პარტიის მხრიდან.

**ვინაიდან სტატია გვიან საღამოს დაიწერა, იმის გარკვევა ვეღარ მოვახერხეთ, მუშაობს თუ არა პარლამენტი სეპარატიზმის საწინააღმდეგო კანონზე. იმედია, ამ საკითხზე ჩვენი პარლამენტარები შესაბამის განცხადებებს გააკეთებენ.**

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თამარ კორძაია ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ ცვლილებებში საფრთხეს ვერ ხედავს



დეპუტატ თამარ კორძაიას განცხადებით, არ შეიძლება კანონპროექტის ისე წარმოჩენა, თითქოს პარლამენტი სახელმწიფო ინტერესებს უპასუხისმგებლოდ ეკიდება.

„მიმაჩნია, რომ მთავრობა ამ შემთხვევაში არის კონსტრუქციული. თუ კანონპროექტში სახელმწიფო უსაფრთხოების კუთხით რაიმე საფრთხეს ხედავენ, ამას სამუშაო რეჟიმში განვიხილავთ, მაგრამ არავითარი საფრთხე არ არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტის წევრები, პარლამენტი მიიჩნევს, რომ უნდა აღმოიფხვრას ის მავნე პრაქტიკა და რეგულაციები, როცა ხელისუფლებას ფარული მიყურადების უკონტროლოდ განხორციელების შესაძლებლობა ეძლევა. პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტში ფარული მიყურადების შესაძლებლობები და წესი დადგენილია და ამ წესის დაცვით შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლებამ თავისი ვალდებულება განახორციელოს და სახელმწიფო უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ფარული მიყურადება განახორციელოს“, – აღნიშნა კორძაიამ.

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის ფარგლებში შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო პაკეტს უარყოფითად აფასებს და ამბობს, რომ შეიცავს ხარვეზებს როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოების უსაფრთხოების კუთხით. (ინტერპრესნიუსი)

## ნოდარ ხადური საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს შეხვდება



ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში ფინანსთა მინისტრი მაღალი დონის ორმხრივ შეხვედრებს გამართავს. ნოდარ ხადური შეხვდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელი დირექტორის მოადგილე მინ ჟუს, სსფ-ის აღმასრულებელ დირექტორ მენო შნელს, სსფ-ს შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის დირექტორ მასუდ აჰმედს, სსფ-ის მისიის ხელმძღვანელ მარკ გრიფიტს, მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორ ფრანკ ჰემსკერკსა და ევროპისა და ცენტრალური აზიის მიმართულებით მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტ ლორა ტაკს.

დაგეგმილია ასევე მოლაპარაკებები საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან, მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოსა (MIGA) და საინვესტიციო კომპანია J.P Morgan-ის წარმომადგენლებთან.

ნოდარ ხადურის ვიზიტი აშშ-ში 14 აპრილს დასრულდება. (ინტერპრესნიუსი)

## ხუდონჰესის მშენებლობის ნებართვის გაცემა გადაიდო



ხაიშში აზომვითი სამუშაოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ენერგეტიკის სამინისტროში, დახურულ შეხვედრაზე მიიღეს. ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ განმარტა, რომ გადაწყვეტილება მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღეს.

„ჩვენი ხელისუფლების მოთხოვნა ინვესტორის მიმართ იყო, რომ ერთ ლარად გადაცემული ქონების დაბრუნება და დარეგისტრირება მომხდარიყო. გამოიყო ჯგუფი, კანადური კომპანია „რეფლაინი“, რომელიც განახორციელებდა ამ სამუშაოებს. ამას მოჰყვა მოსახლეობის პროტესტი და მათ მოითხოვეს აზომვის პროცესის დროებით შეჩერება. მზად ვარ, შევხვდე მოსახლეობას და დეტალურად ავუხსნა პროექტის დადებითი მხარეები“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ენერგეტიკის სამინისტროს პრესსამსახური გადავადების ვადებთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მსგავსი პროექტები დროში არ უნდა იწელებოდეს, მით უმეტეს, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილთან ხელისუფლებამ კონსენსუსს უკვე მიაღწია.

მშენებლობის დასაწყებად მზად არის კომპანია „ტრანსელექტრიკი“, სადაც მშენებლობის დასაწყებად მხოლოდ ნებართვას ელოდებიან. მათ იმედი აქვთ, რომ ხელისუფლება ხაიშის მოსახლეობასთან მოლაპარაკებას მალე დაასრულებს და მშენებლობის ნებართვასაც უახლოეს მომავალში მიიღებენ. (ბპნ)



# „აღარ ვარ ქართველი და აღარ მინდა ამ ქვეყანაში ცხოვრება!“

## რას ფიქრობს კოტე ყუბანეიშვილი ერთი წლის შემდეგ

**რატომღაც სოციალურ ქსელში ისევ გაჩნდა შარშან 17 მაისს „ელგებეტეს“ აქციის შემდეგ გადაღებული კოტე ყუბანეიშვილის ვიდეო, სადაც ის შუა რუსთაველზე მინიმიტინგის ჩატარებით არის დაკავებული. ვისაც ეს ვიდეო ნანახი არ აქვს, გავახსენებთ, ის ამბობს:**

– მე ხომ საბას პრემიას მოვუ... დედის ტრ...ი. მაგრამ, ხალხო, გამოფხიზლდით, თქვენ გეხებათ, თქვენს შვილებს, არავითარი ევროპა და ამერიკა. მე ვითხოვ საქვეყნოდ რომ აღარ ვარ ქართველი და აღარ მინდა ამ ქვეყანაში ცხოვრება! სამოცდაერთი წლისა ვარ და სამოცი წლის განმავლობაში ხმას ხომ არ ვიღებდი და ახლა ვაცხადებ რა! აი, ის ლექსი რომ დავწერე:

„ჩვენა ვართ პატარა ერის შვილები,
დიდი ერების მუდამ თანმხლები,
მაიმუნები, ვირიშვილები,
ნაბოზრები და ნაჩათლახარი“.

**ამის შემდეგ ინტერესი გაგვიჩნდა, გაგვერკვია, როგორ შეასრულა ამ სიტყვების პატრონმა, კოტე ყუბანეიშვილმა თავისი სიტყვა, საქართველოშია თუ მართლა წავიდა სხვა ქვეყანაში? ვურეკავთ და ის ტელეფონს იღებს:**

**— საქართველოდან წასვლას აპირებდით, ისევ აქ ხართ?**

– არ ვიცი, ეგ განცდა იმ მომენტში იყო, ამდენი რამე რომ ვნახე მაშინ, ძაან ბევრი გაბრაზებული და გამხეცებული „მოკალი“ და „ჩაქოლე“ ქართველი, მაშინ იმ მომენტში შემრცხვა და ეს განცდა, რა თქმა უნდა, პერმანენტული არ მაქვს, მაგრამ მერე ჩემი გადაადგილება ჩემზე არ არის დამოკიდებული, მე მინდა, თუ არ მინდა, ზოგჯერ რაღაცების მიწევს გაკეთება.

**— ანუ, არ გინდათ ქართველობა, მაგრამ მაინც ხართ ქართველი?**

– ნუ, აბა, რაა, რა ვქნა? ფრანგი ვერ გავხდები და ამერიკელი, ვერავინ სხვა ვერ გავხდები, ვინც ვარ, ის ვარ. უბრალოდ, ზოგჯერ საქართველოში ქართველები რომ კარგად იქცევიან, მიხარია, როცა ცუდად იქცევიან, არა. მე მგონი, სრულიად ბუნებრივი განცდაა.

**— მაშინ მე და თქვენ ერთად ვიყავით იმ აქციაზე და იქ „ელგებეტეს“ იცავდით.**

– მე რა შუაში ვარ „ელგებეტესთან“? მე უბრალოდ, შემთხვევით მოვხვდი იქ და დავინახე, ხომ არ ვიცოდი, იქ რა ხდებოდა? ვინ არის „ელგებეტე“ და ვინ არ არის? დავინახე, რომ უამრავი გაბრაზებული და წელს ზემოთ ტიტველი „მუსკულებიანი“ ახალგაზრდა ბიჭები უპირებენ მოკვლას ორ პატარა გოგოს და ერთ წვერმოშვებულ გრძელთმიანს, არ ვიცი, ეს „ელგებეტეა“ თუ „ელჯებეტე“.

**— მოკვლას უპირებდნენ?**

– არ ვიცი, ვერ დავინახე, თუმცა ძალიან მაინტერესებდა მათი ნახვა, მაგრამ დავინახე, ვიღაც „ენჯეოშნიკები“, ვიღაცა გაბრაზებული და ისინი, მორბენალი ისინი და პატარა ბავშვები იცავდნენ თავს და ყვიროდნენ, არა ვართო. მერე პატარა გოგომ მითხრა, ბიძია, მეშინიაო, და ამან აღმაშფოთა. ხოდა, სხვა დანარჩენი მერე აღმოჩნდა, რომ თურმე ტელევიზორში ვნახე ჩემი თავი, მერე უკვე სპეციალურად მივედი აქციაზე და გამოვხატე ჩემი აზრი, რომ თუ ვინმეს უნდა, იაროს, მაინცდამაინც ქაშუეთთან და მაინც ხარებას არა და ჩვეულებრივ დროს ყოველთვის იყო ეგ ყველანაირი ისეთიც და ისეთიც.

**— „ელგებეტე“ აქციის მონაწილეებს იმიტომ დაუპირისპირდა ხალხი, რომ გარყვნილების პროპაგანდას ეწეოდნენ. არის თუ არა ეს ხალხი გარყვნილი?**

– არა, არა, საცოდავი ხალხია და არის უბრალოდ ხალხი, ვინც მაგათზე ფულს აკეთებს, იმიტომ რომ ევროპის ნორმებია, რომ უმცირესობასაც ჰქონდეს უფლება თავისი აზრის გამოხატვის.

**— და გამოხატონ მერე წყნარად და ჩუმად თავისთვის, რატომ რუსთაველზე და ასე სახალხოდ, თანაც პროპაგანდის ელემენტებით?**

– მე არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს და ვისაც ამის წინააღმდეგ ასეთი რეაქცია აქვს, იმათ ეტყობა რაღაც პრობლემა აქვს თვითონ. ამაშია საქმე, თორემ ეს რომ წყნარად და ნორმალურად დამჯდარი აზრით გაიაზროს ადამიანმა, ამასში არც არაფერი ისეთი არ არის. სულ ხდებოდა, „პაგრომები“, „ნაჯახებით“ მოდიოდნენ და ქრისტიანები ხოცავდნენ ებრაელებს. ნაჯახით ქრისტიანი რაღა ქრისტიანია, რომელიც კაცის მოსაკლავად მიდის? მაგრამ ამას მასონები და ებრაელები ერქვა, რაღაცებს იგონებს ხალხი. უცებ ერთი დაიყვირებს „ჩაქოლე“ და თან როცა ეს „ჩაქოლეს“ ყვირის, სასულიერო პირი, ვინც უნდა მოუწოდოს, რომ არ ჩაქოლო, და „ტაბურეტკა“ უჭირავს ხელში, იმას რა მოეთხოვება?

**— კი, მაგრამ რატომ აღიზიანებენ ხალხს? წელანაც ბრძანეთ, ვიღაცები ამით სარგებლობენო.**

– კი, ნამდვილად სარგებლობენ და თავის აქციებს ატარებენ. თქვენც იმიტომ ხართ ჟურნალისტები, რომ გააშუქოთ ეს ამბები.

**— აბსოლუტურად ნორმალურად ვაშუქებთ, ოღონდ ეს მიგვაჩნია იმ ქმედებად, რაც ჩემს კულტურას, ტრადიციას მინგრევს და ამიტომ მიუღებელია მსგავსი ქცევა.**

– (ხმას უწევს) გეები ჩემთვისაც მიუღებლები არიან და „ბეებიც“ და მაგათი დედა მოვ...ნ ყველასი, ვინც საქართველოში ნორმალურად არ იქცევა და მე საქართველოში ჯერ ნორმალურად მომქცევი ვერ ვნახე.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### დეზინფექცია 1 ლარად — ქალაქზე ზრუნვა თუ დიდი აფიორა?



პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარის განცხადებით, ქუთაისში უცნობი ადამიანები გამოჩნდნენ, რომლებიც კარდაკარ დადიან და მოსახლეობისგან დეზინფექციის საფასურს – 1 ლარს ითხოვენ.

„ეს არის უგუნური ივანიშვილის ხელისუფლების ბრალი. „ოცნება“ ვერ აკონტროლებს ქალაქს. შპს „ბრიგადას“ ამოფარებული ადამიანები კარდაკარ დადიან და მოსახლეობისგან 1 ლარს ითხოვენ. ფაქტობრივად, დიდ აფიორასთან გვაქვს საქმე. დეზინფექსიის საფასური დასუფთავების გადასახადში შედის, ჩვენ ამ გადასახადს ყოველთვიურად ვიხდით და რატომ უნდა გადავუხადოთ ვიღაც შპს „ბრიგადას“ ერთი ლარი?! მოვუწოდებ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელ შოთა მურღულიას, ამ საკითხს დროულად მიხედოს. მერიაში არსებობს შესაბამისი ორგანოები და მოახდინონ საქმის გამოძიება!“ – განაცხადა გოგი წულაიამ.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრობლემა დედაქალაქშიც წარმოიშვა. საცხოვრებელ კორპუსებში არაერთხელ დასფიქსირეს ახალგაზრდები, რომლებიც სადარბაზოებში გაურკვეველ სითხეს ასხამდნენ და აცხადებდნენ, რომ დეზინფექციას ახდენდნენ, რაშიც, ოჯახიდან ასევე 1 ლარს ითხოვდნენ. არც ერთი მათგანი არ ყოფილა აღჭურვილი პირბადით, რეზინის ხელთათმანით და სხვა საჭირო ინვენტარით. (ალია)

### დანიის საგარეო საქმეთა მინისტრს წეროვანში კონცერტი მოუწყვეს



დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მარტინ ლიდეგორდმა წეროვანში დევნილთა კომპაქტური ჩასახლება მოინახულა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილემ მამუკა ცოტნიაშვილმა დანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ადგილზე გააცნო დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობები და ისაუბრა მათ პრობლემებზე.

მარტინ ლიდეგორდი ადგილზე გაესაუბრა დევნილ მოსახლეობას და მოინახულა წეროვანის საჯარო სკოლა, სადაც სკოლის აღსაზრდელებმა საპატიო სტუმარს საზეიმო კონცერტი გაუმართეს.

„ემოციურად ძალიან დატვირთული შეხვედრა იყო, იმედი მაქვს, მალე ყველაფერი დალაგდება და მალე მოხდება ამ ხალხის საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნება. ამისთვის ორივე მხარე ყველაფერს გააკეთებს“, – განაცხადა მარტინ ლიდეგორდმა.

„დევნილთა სამინისტროსა და დანიის წარმომადგენლობას დიდი ხნის ურთიერთობა აქვთ დევნილთა პრობლემების მოგვარების საქმეში. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა განსახლების თემაა და მათი კეთილმოწყობის საკითხებია. ჩვენი თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება“, – განაცხადა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილემ, მამუკა ცოტნიაშვილმა. (რეპორტიორი)

### 9 აპრილის მოვლენების თვითმხილველი ჟურნალისტი ტრაგიკულ ღამეს იხსენებს



ცნობილი რუსი ჟურნალისტის იური როსტის აზრით, „9 აპრილი იყო გაკვეთილი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ“. იური როსტი, 1989 წლის 9 აპრილს რუსთაველზე იმყოფებოდა. მან იმ ტრაგედიის ამსახველი კადრები მსოფლიოს აჩვენა.

„ჩამოვედი თბილისში, დავურეკე ჩემს მეგობარ გოგი ხარაბაძეს, რომელმაც მითხრა, რომ საღამოს ტანკებმა გაიარეს. ის თბილისში დამხვდა მიშა ჭავჭავაძესთან ერთად და ჩვენ გავემგზავრეთ რუსთაველის გამზირზე, სადაც დავიწყე მუშაობა, გადაღება და დავინახე, რომ რაღაც მზადდებოდა, დავინახე საჯარისო ნაწილები... მე უკვე ძალიან ბევრი დავწერე ამაზე. რაც შეეხება ჩემს მიერ მოსკოვში გაგზავნილ კადრებს, არ ვიცი, რა პრობლემები იყო, მაგრამ იყო გზავნილი კრემლისგან და ჩემ მიერ მიწოდებული მასალა ამ აზრს ეწინააღმდეგებოდა. კონცეფციაში არ ჯდებოდა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა იყო დარბეული. მას შემდეგ 25 წელი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა ადამიანების ცნობიერებაში, ბევრი რამ იყო გააზრებული. ამ დღემ შეცვალა აღქმა რეალობის, ყოფილი ხელმძღვანელობის ტვინებშიც და რაც მეტი დრო გადის, მით ნაკლები ეფექტია და ეს ხდება ისტორიის ნაწილი. ეს დღე არის მორალური გზავნილი და გაკვეთილი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ. ხალხი დაუპირისპირდა ამხელა სახელმწიფო მანქანას და ეს ხალხი, რომელიც იქ იყო, აღმოჩნდა უფრო თავისუფალი, ვიდრე მთავრობის მხრიდან აღქმული თავისუფლება“, – განაცხადა ჟურნალისტმა. (ფრონტნიუსი)

### ციხეებში სამედიცინო დოკუმენტაციის კონფიდენციალურობის დაცვის საკითხი მოგვარდა



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის კიდევ ერთი რეკომენდაცია შეასრულა. სამინისტროს ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ პენიტენციური ჯანდაცვის ყველა პუნქტს სამედიცინო დოკუმენტაციის შესანახად სპეციალური კარადები გადაეცა და სამედიცინო პერსონალს შესაბამისი ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა.

კარადებზე განთავსებულ სტიკერებზე მითითებულია შესაბამისი საკანონმდებლო ნორმა პაციენტის უფლებების შესახებ, რომლის თანახმადაც პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცული უნდა იყოს.

2012 წლისა და წინა წლების ანგარიშებში წამების საწინააღმდეგო კომიტეტი მოუწოდებდა საქართველოს მთავრობას, დაუყოვნებელი ნაბიჯები გადაედგა სამედიცინო დოკუმენტაციის კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველსაყოფად.

2013 წელს სასჯელაღსრულების სამინისტრომ ელექტრონული სამედიცინო ისტორიაც დანერგა, რომელიც სამედიცინო ინფორმაციის გაციფრულებისა და ავტომატიზებული მიმოქცევის მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლეა. აღნიშნული პროგრამა სამედიცინო რეფერალის ელექტრონულ რიგსაც არეგულირებს. (რეპორტიორი)

## გუგული მაღრაძე ევროსაბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა



გუგული მაღრაძემ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა იმ ეროვნული უმცირესობების უფლებებზე, რომლებიც დიდი ხანია ცხოვრობენ ევროპაში. ისაუბრა ავტონომიების მნიშვნელობაზე და იმ კონკრეტულ საფრთხეებზე, რომლებსაც ავტონომიები შეიცავენ. გუგული მაღრაძემ მაგალითად დაასახელა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ე.წ. სამხრეთ ოსეთი.

„საქართველო ყოველთვის ითვალისწინებდა ეროვნული უმცირესობის ინტერესებს – იყო ეს კულტურული ტრადიციების დაცვა, მშობლიურ ენაზე განათლების მიღება თუ სხვა საკითხები. ამის მიუხედავად, 1991 წელს რუსეთმა არსებული ავტონომიების სტატუსი, კავკასიაში ომის დასაწყებად გამოიყენა“, – განაცხადა გუგული მაღრაძემ. მისივე თქმით, ამის თვალნათელ მაგალითს დღეს უკვე ყირიმი წარმოადგენს. ქართველი პარლამენტარი გუშინ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენდერული თანასწორობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. (რეპორტიორი)

## ახალდაბელები გახშირებულ ქურდობას სააკაშვილის გადადგომას უკავშირებენ



გორის რაიონის სოფელ ახალდაბის მოსახლეობის განცხადებით, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში სოფლიდან ათამდე ცხენია დაკარგული. მათი ინფორმაციით, ცხენის დაკარგვის ბოლო შემთხვევა სოფელში სამი კვირის წინ მოხდა. ახალდაბელები გახშირებულ ქურდობის ფაქტებს ხელისუფლების ცვლილებას უკავშირებენ.

„რაც სააკაშვილი გადადგა ჩვენს სოფელში ქურდობები იმის მერე დაიწყო. მე პირადად შარშან დავკარგე ცხენი, პოლიციასაც მივმართე, მაგრამ ამ დრომდე გამოძიება არ მომხდარა. ჩვენი პატრონი არავინ არ არის. გამომძიებელმა მითხრა, წადი, წალკაში ნახეო. მე სად უნდა ვნახო? მე ვარ გამომძიებელი თუ ის?“, – ამბობს ადგილობრივი მკვიდრი მარინე მურადაშვილი.

„ივანიშვილის ხელში სამი ცხენი მოგვპარეს, სააკაშვილის დროსაც ხდებოდა მსგავსი შემთხვევები, მაგრამ მაშინ ეშინოდათ მაინც და ესე ვერ ბედავდნენ. სამ კაცს მოჰპარეს, მაგრამ ამბობენ კიდევ ბევრნი არიან ისეთები, ვინც ცხენი დაკარგაო. მოგვხედოს ვინმემ. ადრე მაღაზიები და სარიტუალო დარბაზი გატეხეს სოფელში, თუ პოლიცია ქურდს არ დაიჭერს, მაშინ ჩვენ დავიჭერთ და ლინჩის წესით გავასამართლებთ!“, – იმუქრებიან ახალდაბელები. (ნიუპოსტი)

# ხელისუფლების წარმომადგენლებმა 9 აპრილის მემორიალი გვირგვინებით შეამკეს



9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რუსთაველზე მდებარე მემორიალი ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს.

„დღევანდელი დღე არის საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის, ეროვნული ერთიანობის იდეისთვის ბრძოლის დღე, როცა ერი იდგა ერთად. წესისამებრ, პარლამენტის წევრებმა გვირგვინით შევამკეთ მემორიალი და რა თქმა უნდა, გავიხსენეთ ის გმირები, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას შეეწირნენ, თუმცა ეს დღე ასევე არის საზეიმო დღეც, იმიტომ, რომ 2 წლის შემდეგ დამოუკიდებლობის აღდგენა და გამოცხადება მოხდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ადამიანები არ იბრძოდნენ ტყუილად და მათი თავგანწირვა იყო შედეგიანი, ვინაიდან დღეს საქართველო დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკაა“, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერს იმედი აქვს, რომ ჩვენი ქვეყანა აუცილებლად აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას და ის განვითარდება სწორედ ისე „როგორც უნდოდათ იმ ადამიანებს, ვინც დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ“.

მემორიალთან მივიდნენ განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი კოტე სურგულაძე.

„ნათლად მახსოვს ის მომენტი და პროცესები, რაც ამ მოედანზე მიმდინარეობდა. მინდა გამოვხატო ჩემი უღრმესი პატივისცემა იმ დაღუპულების ოჯახების და იმ ახალგაზრდების მიმართ, რომელთაც თავი შესწირეს საქართველოს დამოუკიდებლობას. ამიტომ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ეს და არც დავივიწყებთ. ეს სულისკვეთება არ უნდა დავკარგოთ და ამ სულისკვეთებასთან ერთად უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ, როგორ განვვითარდეთ და წავიდეთ წინ“, – განაცხადა თამარ სანიკიძემ.

„25 წელი გავიდა ამ ტრაგიკული მოვლენების შემდეგ იმ ხალხის მიმართ, ვინც თავი შესწირა ქვეყნის ერთიანობას მუდმივი პატივისცემაა საჭირო. ჩვენ ვამაყობთ, რომ გვყავს ისეთი შვილები, რომლებიც თავს სწირავენ ქვეყნისთვის. ვამაყობთ იმით, რომ ამდენი ხალხი მოდის და პატივს მიაგებს მათ ხსოვნას. დღეს არის ძალიან მძიმე დღე, მაგრამ ამავე დროს ძალიან საამაყო“, – განაცხადა სურგულაძემ.

„ეს არის დიდი ტკივილი და მწუხარება, რომელსაც დრო ნამდვილად ვერ მოარჩენს. 9 აპრილს რუსთაველზე დატრიალებულმა ტრაგედიამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის განვითარებაში, თავისუფლებისკენ სწრაფვასა და მიმქრალი პატრიოტიზმის აღორძინებაში. ვუსამძიმრებ თითოეული დაღუპულის ოჯახს ამ ტრაგედიას და ტკივილს, რომელიც ჩვენი ტკივილიცაა“, – განაცხადა მემორიალთან მისულმა ვიცე-პრემიერმა, კახი კალაძემ.

სახელმწიფო მინისტრის, ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, ეს დღე ჩვენი ქვეყნისთვის ტკივილისა და სიამაყის დღეა.

„ეს ის დღეა, როდესაც ვიგონებთ ჩვენი ქვეყნისთვის თავდადებულ გმირებს და ვზეიმობთ მათთან ერთად იმ მონაპოვარს, რასაც ჰქვია თავისუფლება. ამიტომ ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ ეს მონაპოვარი არ დავიცვათ. ამას აუცილებლად გავაკეთებთ, ჩვენი ქვეყანა იქნება დამოუკიდებელი, ერთიანი და ერთ მუშტად შეკრული, ისეთი როგორიც იყო 1989 წლის 9 აპრილს, როგორც იმ ტრაგიკული მოვლენების დროს, ისე იმ დღეების განმავლობაში“, – განაცხადა პეტრიაშვილმა.

რეგიონული განვითარების მინისტრის დავით ნარმანიას შეფასებით, 9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და რთული დღე იყო.

„საქართველომ ძალიან ბევრი ტრაგედია, ძალიან ბევრი რთული დღეები გადაიტანა, მაგრამ საქართველოს უახლესი ისტორიის განმავლობაში 9 აპრილი არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და რთული დღე. რთული პერიოდი, როდესაც ადამიანების სისხლი დაიღვარა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო ყოფილიყო ერთიანი, მთლიანი და დამოუკიდებელი. სიმბოლურია ის, რომ 2 წლის შემდეგ ზუსტად იმავე დღეს ქვეყნის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განაცხადი გაკეთდა და საქართველო დამოუკიდებლობის გზას დაადგა“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს იუსტიციისა და თავდაცვის მინისტრებმა.

„დღეს არის ჩვენი ქვეყნისთვის ერთი მხრივ ტრაგიკული დღე, მაგრამ მეორე მხრივ, დღე, როდესაც ჩვენ ვიხსენებთ იმ გმირებს, ძირითადად ქალბატონებსა და პატარა გოგონებს, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს, მის დამოუკიდებლობას. ამ მხრივ, სასიხარულოა, რომ ქართველი არასოდეს თავის მიწას, თავის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს არ დაუთმობს არავის. ამის სიმბოლოა 9 აპრილი. 9 აპრილი, ალბათ, არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ ნებისმიერი მომავალი თაობისთვის იქნება სიმბოლური და აღსანიშნავი დღე. დღეს ის გოგონები, ვინც რუსთაველის გამზირზე დაეცნენ ჩვენი ასაკის უნდა ყოფილიყვნენ. მე დარწმუნებული ვარ, ისინი ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, ქვეყნის მოდერნიზების, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის გზაზე ერთ-ერთ მოწინავე რიგებში იქნებოდნენ“, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

„ეს დღე არის მთელი ერისთვის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ პატივი მივაგოთ იმ მოქალაქეებს, ვინც ჩვენი დამოუკიდებლობისთვის თავი შესწირა 25 წლის წინათ. ძალიან დიდი დრო გავიდა, მაგრამ დღეს ისევე ძალიან მგრძნობიარეა ეს ჭრილობები, როგორც 25 წლის წინათ. სამხედროებისთვის, თავდაცვის სამინისტროსთვის ეს მოქალაქეები არიან ის მაგალითი და ის სტანდარტი, რომელიც ჩვენ არასოდეს არ უნდა დავწიოთ ქვემოთ“, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

საგარეო საქმეთა მინისტრი, მაია ფანჯიკიძე, ხსოვნის მემორიალთან დანიის საგარეო საქმეთა მინისტრ მარტინ ლიდეგორდთან ერთად მივიდა.

„მე ვისარგებლე საქართველოში დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის სტუმრობით და აქ მასთან ერთად მოვედი, რათა პატივი მიმეგო 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისთვის. 9 აპრილის ღამის ტრაგიკული მოვლენები ძალიან კარგად მახსოვს და მიმაჩნია, რომ ეს იყო საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღე, საიდანაც რეალურად დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობა. ჩვენ ყველანი ვალდებულები ვართ, არ დაგვავიწყდეს მათი სახელები და ყოველ წელს პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას. ამავე დროს, მინდა იმედი გამოვთქვა, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება და საქართველო მოახერხებს მშვიდობიანად მიაღწიოს თავის მიზნებს“, – აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

მემორიალი გვირგვინებით შეამკეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია (ელგუჯა) გვაზავამ, აფხაზეთის მთავრობის წევრებმა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრემიერის ხელმძღვანელობით ეკონომიკური საბჭო გაიმართა



პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ეკონომიკურმა საბჭომ მიმდინარე ეკონომიკური თემები განიხილა და სამომავლო გეგმები დასახა.

საბჭოს წევრებმა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელეს. აღინიშნა არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

სხდომაზე ასევე იმსჯელეს ტურიზმისა და ექსპორტის ხელშეწყობისთვის საჭირო სამუშაოებზე.

ეკონომიკური საბჭო მთავრობის ადმინისტრაციაში, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გაიმართა. (ნიუპოსტი)

## ირინა იმერლიშვილი საქართველოში „ევრომაიდანს“ გამორიცხავს



უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი საქართველოში „ევრომაიდანს“ არ ელის. „პირადად მე არ ველი საქართველოში „ევრომაიდანს“, ვინაიდან ქართველი ხალხის სწრაფვა ევროპისკენ არ არის მხოლოდ ერთი პარტიის, ან თუნდაც დღევანდელი ხელისუფლების გადაწყვეტილება, ან წინა ხელისუფლების გადაწყვეტილება. დანამდვილებით შემიძლია, ვთქვა, რომ ეს არის მთლიანად ქართველი ერის გადაწყვეტილება“, – განაცხადა ირინე იმერლიშვილმა. (ფრონტნიუსი)

## ოდესის ცენტრში უკრაინის ფედერალიზაციის მომხრეებმა ბარიკადები მოაწყვეს



„უნიანის“ ინფორმაციით, კულიკოვოს მინდორზე, რომელზეც ანტიმაიდანის კარვებია გაშლილი, შეიტანეს ქვიშა, რომელსაც პოლიეთილენის ტომრებში ყრიან და მისგან ბარიკადებს აშენებენ.

ერთი მეტრის სიმაღლის ბარიკადებით სწორედ ის ტერიტორია შემოსაზღვრეს, რომელზეც კარვებია განთავსებული. მათ, ასევე, მიტანილი აქვთ ავტომობილის საბურავები, რომლებიც ტომრებთან არის განთავსებული. პრორუსი აქტივისტები ამბობენ, რომ ამას მაიდანის მომხრეებისგან თავდასაცავად აკეთებენ.

რაც შეეხება დონეცკსა და ლუგანსკს, იქ პრორუს აქტივისტებს, რომლებიც ადმინისტრაციულ შენობებს აკონტროლებენ, 48-საათიანი ულტიმატუმი მიეცათ შენობების გასათავისუფლებლად და მოლაპარაკებათა მაგიდასთან დასაჯდომად. წინააღმდეგ შემთხვევაში უკრაინის ხელისუფლება ძალას გამოიყენებს.

„ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა არსენ ავაკოვმა განაცხადა, რომ უკრაინის აღმოსავლეთ ოლქებში კვლავინდებურად მოქმედებს ანტიტერორისტული ოპერაციის რეჟიმი.

„ვფიქრობ, კრიზისის გადაწყვეტა 48 საათში განისაზღვრება. არის ორი ვარიანტი – პოლიტიკური დარეგულირება და ძალისმიერი. ჩვენ მზად ვართ, ერთიც განვახორციელოთ და მეორეც“, – განაცხადა მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

# აქვს თუ არა უკრაინული „მაიდანის“ აქტივისტ სტანისლავ ფედორჩუკს კავშირი „თავისუფალ ზონასთან“?

## რას აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციაში


გელა ვასაძე

„ალიას“ 3 აპრილის №49 ნომერში კიევში მცხოვრებმა გავლენიანმა ქართველმა „ალიასთან“ საუბარში განაცხადა: „...სააკაშვილს გადაწყვეტილი აქვს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოცილება, ის მართავს გასაიდუმლოებულ შეხვედრებს არა მარტო უკრაინაში, ასევე ბელორუსშიც და ითხოვს მხარდაჭერას... ის ხალხი, ვინც უკრაინისთვის მართლა იბრძოდა, პროცესებს ჩამოაცილეს, ნიღბები მოიხსნეს და ყირიმი აღარავის ახსოვს, სააკაშვილს აქ „პარადი“ მიჰყავს... სააკაშვილი ღიად აცხადებს, რომ თბილისში სულ მალე „თბილისურ მაიდანს“ მოაწყობს, მას ეზიზღება ბიძინა ივანიშვილი, ამოჩემებული აქვს, სანამ ივანიშვილს არ გავამწარებ, არ მოვისვენებო... სააკაშვილი კიევიდან, თბილისში ხალხს აგზავნის და ისინი სააკაშვილის ზონდერებსა და ნაცაქტივისტებს ტრენინგებს უტარებენ, რა პროვოკაციები უნდა მოაწყონ თბილისის ქუჩებში. უნდა შეიქმნას ორი დაჯგუფება, პრორუსებისა და პროდასავლელების სახელით იმოქმედებენ ისინი, პროვოკატორებს შეაგზავნიან ხალხმრავალ ადგილებში, შეკრებებზე და რუსეთის მხარდამჭერი ლოზუნგებით დაიწყებენ სკანდირებას, რასაც მოჰყვება ხელჩართული ბრძოლები. ამის მაგალითი უკვე იყო საქართველოში, მაგრამ რაც ნახეთ, ეს ჟურნალია იმასთან შედარებით რასაც სააკაშვილი გიმზადებთ“. – ამბობს წყარო კიევიდან და „ალიას“ კონკრეტული ფაქტის შესახებ უყვება.

„სულ რამდენიმე ხნის წინ თბილისში ჩამოვიდა „მაიდანის“ ერთ-ერთი აქტივისტი და ორგანიზატორი სტანისლავ ფედორჩუკი. ის კიევის გარდა, აქტიურად მონაწილეობდა დონეცკში და სხვა ქალაქებში ჩატარებულ აქციებში. ის არის უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი. ამჟამად, უკრაინაში ცნობილია, როგორც პოლიტოლოგი. თბილისში სტანისლავ ფედორჩუკი ატარებს ყოველდღიურ ტრენინგებს „ნაციონალური მოძრაობისა“ და „თავისუფალი ზონის“ ოფისებში. „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს უზიარებს თავის გამოცდილებას, როგორ უნდა ჩატარდეს აქციები ისე, რომ ამან გამოიწვიოს ქაოსი, არეულობა და სამოქალაქო დაპირისპირება, როგორ უნდა მოხდეს სამთავრობო უწყებების პიკეტირება და როგორ წარიმართოს ხელისუფლების საწინააღმდეგო პიარკამპანიები... მათ გადაწყვეტილი აქვთ ხელისუფლების შიგნიდან დასუსტება, შეგზავნილი ჰყავთ ყველგან თავისი აგენტურა და აპირებენ, სახელმწიფოს ჩამოშლას ისე, როგორც ეს „ვარდების რევოლუციის“ დროს გააკეთეს... დასახელებულია ზუსტი დრო, მიშა კულუარებში აცხადებს, რომ მაისში საქართველოში მასობრივ აქციებს დაიწყებს“.

სამწუხაროდ, მაშინ ინფორმაციის გადამოწმება ვერ მოვახერხეთ. მაგრამ მას შემდეგ, ჩვენდა გასაოცრად, შს მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემაც ისაუბრა თბილისური „მაიდანის“ მზადებაზე, თანაც უფრო დეტალურად. ამიტომ „ალია“ დაინტერესდა, იცნობენ თუ არა „თავისუფალ ზონაში“ სტანისლავ ფედორჩუკს, ან აქვთ თუ არა მასთან რაიმე კავშირები?

როგორც „თავისუფალი ზონის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, გელა ვასაძემ განგვიცხადა: „სტანისლავ ფედორჩუკი არ ყოფილა მაიდანის ორგანიზატორი, ის დონეცკში იყო „მაიდანის“ აქტივისტი. ის მართლაც ჩამოვიდა საქართველოში, რადგან ცოლს შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები. თბილისში ოპერაცია გაუკეთეს. მე გავიცანი „ფეისბუკით“, იქიდან გამომდინარე, რომ არავინ ჰყავდა აქ ახლობელი, მოდის ხშირად ოფისში, თავისი პატარა კომპიუტერით და რაღაცაზე ვსაუბრობთ. გიდასტურებთ, საქართველოში ახლაც იმყოფება, მაგრამ არანაირი ტრენინგები...“


სტანისლავ ფედორჩუკი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ლია ელიავა საქართველოს განვითარების ბანკის შექმნის იდეას დადებითად აფასებს



ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ექსპერტი ლია ელიავა მოქმედი ფონდების გაერთიანებისა და საქართველოს განვითარების ბანკის შექმნის შესახებ ინიციატივას მიესალმება.

„მე დიდი ხანია, ვსაუბრობ, რომ აუცილებელია, საქართველოში იყოს სახელმწიფო ბანკი. სახელმწიფო ბანკი აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის გარდა, პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში არსებობს და არა მხოლოდ ასეთი განვითარების ბანკის სახით, არამედ სრულფასოვანი კომერციული ბანკების სახითაც. მე ამ ინიციატივას ორივე ხელით მივესალმები. ეს დიდი ხნის გასაკეთებელი იყო. უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ის პროექტი, როგორც წინა, ისე დღევანდელი ხელისუფლების, რომელიც გულისხმობდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას გარკვეული ეკონომიკური პროექტების დაფინანსებაში, მეტი წილი წარუმატებელი იყო, რადგან სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები კომერციულ ბანკებს მიანდეს. ყოველთვის ვამბობდი, რომ ასეთი სახის პროექტები აუცილებლად სახელმწიფო ბანკების განსახორციელებელია. მეორე – საქართველოს კომერციული ბანკები საქართველოს ეკონომიკისთვის არ მუშაობენ. ისინი აფინანსებენ იმპორტს, ანუ უცხოელ მწარმოებელს, და არა საქართველოს რეალურ სექტორს. ამიტომ აუცილებელია, რომ ეს ტვირთი სახელმწიფომ იტვირთოს და ის სახსრები, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფო ფონდებში აკუმულირდება, წარმართოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელ პროექტებში. ამდენად, მე ამ ინიციატივას მივესალმები და რომ შეექმნათ კომერციული სახელმწიფო ბანკი, იმასაც მივესალმებოდი“, – განაცხადა ლია ელიავამ. (ფრონტნიუსი)

### გიორგი ბარამიძე წითელაშვილის განცხადებაზე კომენტარს აკეთებს



უმცირესობის წევრს, გიორგი ბარამიძეს, გენერალ ტრისტან წითელაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სერიოზულად შეფასება უჭირს.

„რამდენი ვიღაცა გამოდგება და რაღაცას იტყვის, ვფიქრობ, არასწორი იქნება ყველაფერზე კომენტარის გაკეთება. ვინმე წითელაშვილი საზოგადოებისთვის სრულიად უცხო ადამიანია. მას და ჭიკაიძეს ერთი პატრონი ჰყავთ პუტინის სახით და რაც პუტინს თავისი იდეოლოგიის გასავრცელებლად და გეგმების განსახორციელებლად სჭირდება და რასაც უბრძანებს, აცხადებენ იმას“, – განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

რუსულ მედიაში გენერალ ტრისტან წითელაშვილის მიერ გავრცელებული განცხადება გავრცელდა, სადაც ის ამბობს, რომ კიევში მიმდინარე საპროტესტო აქციებისას სნაიპერები, რომლებიც ადამიანებს კლავდნენ, სპეციალურ მოსამზადებელ წვრთნებს საქართველოში გადიოდნენ. წითელაშვილის თქმით, აღნიშნული პირების წვრთნის პროცესში საპარლამენტო უმცირესობის წევრები გიორგი ბარამიძე და გივი თარგამაძე მონაწილეობდნენ. (პირველი)

### ქართული მოცვის ჩაი ექსპორტზე ჩეხეთში გავა



ოზურგეთში მდებარე კომპანია „საქართველოს თაიგული“ ადგილობრივი მოსახლეობისგან მოცვის ფოთლის მიღებას იწყებს. კომპანიის დამფუძნებლის, ილია ბასილაშვილის განცხადებით, ერთ კგ მოცვის ფოთოლში გლეხებს 2,5 ლარს გადაუხდის.

„სეზონი უკვე იწყება, ფოთოლს, როგორც წესი, მთაში კრეფენ, სადაც ეკოლოგიურად სუფთა გარემოა. ნედლეულისგან ორი ტიპის ჩაის – მწვანესა და შავს დავამზადებთ, ეს უკანასკნელი დიაბეტით დაავადებულთათვის ძალიან სასარგებლოა, ისევე როგორც იმ ადამიანებისთვის, ვისაც მხედველობის პრობლემა აქვს“, – განაცხადა ბასილაშვილმა.

კომპანია პროდუქციას დაფასოების გარეშე როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე ექსპორტზე ჩეხეთში გაიტანს.

„შარშან საცდელი სახით უკვე დავამზადეთ მოცვის ჩაი და ჩეხ პარტნიორებს გავუგზავნეთ. ჩვენი პროდუქცია ძალიან მოეწონათ, კარგადაც გადაიხადეს, ერთ კილოგრამში – 17 ევრო“, – აღნიშნა მეწარმემ.

„საქართველოს თაიგული“ წლებია, ძირითადად, უმაღლესი ხარისხის, ე.წ. „ელიტარულ ჩაის“ ამზადებს და ექსპორტზე უკრაინაში გააქვს. (ბპნ)

### უცხოეთის ბაზრებზე ქართულ ცხვარზე მოთხოვნა მცირდება



„მეცხვარეთა ასოციაციის“ თავმჯდომარის, ბექა გონაშვილის განცხადებით, სტაბილური ბაზრის სტატუსს კვლავინდებურად აზერბაიჯანი ინარჩუნებს, დაინტერესებაა ირანსა და იორდანიიდან, თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში ლიბანი, ლიბია და ყატარი საექსპორტო გეოგრაფიას გამოაკლდა.

„სხვა ქვეყნებში ცოცხალი წონის ფასი 2 დოლარია, ჩვენთან – 3,5 დოლარი, თვითღირებულებაში დიდ როლს თამაშობს საძოვრებზე არსებული გადასახადი, რომელიც ჰექტარზე 15-16 ლარით განისაზღვრება და ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან მეცხვარეთა 70%-ს არ გააჩნია საკუთარი საძოვრები. გარდა ამისა, არსებობს ლოჯისტიკური პრობლემებიც, რაც ფასებზეც აისახება“, – განმარტავს გონაშვილი.

მისი თქმით, დაბალი ფასების გამო ქართული ცხვარი ნაწილობრივ სომხურმაც ჩაანაცვლა, რომელიც ბოლო წლებია, საქართველოდან რეექსპორტზე აქტიურად გადის.

„სომხებს ცხვარი საქართველოში ჩამოჰყავთ, ქართულად ასაღებენ და მის რეექსპორტს ირანსა და იორდანიაში ახორციელებენ. მიზეზი კი ის არის, რომ მეზობელ ქვეყანაში სერიოზული დაავადებები დაფიქსირდა და იქიდან ცოცხალი საქონლის შეყვანა ბევრ ქვეყანაში აკრძალულია“, – განმარტავს გონაშვილი.

2012-2013 წლებში ცხვრის ექსპორტი 18 მილიონიდან 15,5 მილიონ დოლარამდე შემცირდა, ხოლო იმპორტი – 1,5 მილიონი დოლარიდან 900 ათას დოლარამდე. (ბპნ)

### ოფშორულ კომპანიას სახელმწიფო ქონება 1 ლარად გადაეცა

მთავრობამ ქალაქ სიღნაღში, ეკა ბეჟანიშვილის ქუჩაზე მდებარე 35 000 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად „სომგოს კომპანიას“ გადასცა.

კომპანიამ, რომლის 90%-იანი წილი ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებულ ორ საწარმოს, „სონატა ალიანსს“ (სეიშელის კუნძულები) და „გოსია ფაინენსინგს“ (პანამა) ეკუთვნის, 3 წლის ვადაში, საპრივატიზებო მოთხოვნების მიხედვით, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საწარმო უნდა გამართოს, არანაკლებ ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთზე სადემონსტრაციო ვენახი გააშენოს და არანაკლებ 50-ნომრიანი სასტუმრო (200 ადამიანზე გათვლილი რესტორნით) ააშენოს. სავალდებულო ინვესტიციის ოდენობა 2 მილიონი ლარით განისაზღვრა.

ამასთანავე, ინვესტორმა კომპლექსში, სულ მცირე, ერთი წლის ვადით, არანაკლებ 30 ადგილობრივი მაცხოვრებელი უნდა დაასაქმოს. (ბპნ)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge










1. გამზირი, ანუ ...
2. ევროპელ ებრაელთა ენა
3. ვიოლინოების ოსტატი გვიდო ...
4. დიდი, მსუქანი მუცელი
5. ჩილეს დედაქალაქი
6. წყლის საღებავი
7. ნივთ. უმცირესი ნაწილაკი
8. შინაური მტაცებ. ცხოველი
9. მხ/ფ „... თამარქალი"
10. თვითმფრინავიდან გადმოსახტომი
11. სოფელზე დიდი დასახლება
12. კვერცხისმდებელი ძუძუმწოვარი. ბინადრობს ავსტრალიაში
13. ტროას ბერძ. სახელწოდება
14. მწვანე ადგილი უდაბნოში
15. ტენორი ლუჩანო ...
16. რას ასრულებს მსახიობი
17. შემოდგომის ყვავილი
18. თეატრალური სეზონის სპექტაკლები
19. გემის მოძრავი კიბე
20. ტილ ულენშპიგელი და ... გუძაკი
21. „კარმენი" კომპოზიტორი
22. მცენარე, ამზა-დებენ ჰალვას
23. შახტი, ანუ ...
24. ქალაქი რაჭაში
25. მეცნიერება ცოცხალ ორგანიზმებზე
26. შვედური ზურდა ფული
27. მექსიკელის ფერმა
28. სმენადაქვეითებული
29. სინათლის სხივი. ჭრის ლითონს
30. გიგანტური ტალღა
31. მსახიობი ედვარდ ...
32. პრიმატი ცხოველი
33. თხრილი ფრონტის ხაზზე
34. ჯემალ ჭკუა-სელის ანსამბლი
35. „ნათლია." სონი კორლეონეს როლში ჯეიმს ...
36. დროშის სახელური
37. ჩვილის სიტყვა
38. ვინი პუჰის ავტორი
39. ინდიელთა ტომი
40. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
41. ტალღებზე ფიცრით სრიალი
42. მსახიობი ორნელა ...
43. ქალი ჯადოსნური ხმით(მით.)
44. პოეტი ... გრიშაშვილი
45. ბროშში ჩასმული ქვა, რომელზეც ადამიანის პროფილია ამოტვიფრული
46. პანტომიმის მსახიობი
47. კომში
48. ერნესტო ... გევარა
49. დედამიწის მოდელი
50. კატის მსგავსი ცხოველი მადაგასკარზე
51. ვიწრო გზა ტყეში
52. მდინარე გერმანიაში
53. ვირის ნაშიერი
54. მხარე საქართველოში
55. ვის აშინებენ ჭიაკოკონით
56. პირველი სამნიშნა რიცხვი
57. ლოტოს მსგავსი თამაში
58. ყელსაბამი
59. სურნელოვანი ტუალეტის წყალი
60. რქოსანი ცხოველი ჩრდ. ამერიკაში
61. ამერიკელის მეტსახელი მექსიკაში
62. მას უყვარდა ესმერალდა
63. მოკარნახე თეატრში
64. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
65. ორიანი ნარდში
66. ბერძ. ანბანის პირველი ასო
67. ჩრდილოეთის ირემი
68. ჰომეროსის პოემა
69. ბულგარული ფულის ერთეული
70. შეძახილი თეატრში
71. სფეროს ფორმის ტყვიები
72. მეჩეთის კოშკი
73. ფოლგა
74. მხ/ფ „... მდივანი"
75. სპორტის სახეობა
76. ესპანური კინოაკადემიის პრიზი
77. მოდას აყოლილი
78. ზზრი-ალა
79. მომღერალი მარიკა ...
80. მიწისქვეშეთი (ზღაპრ.)
81. ყვავილი
82. სანელებელი
83. სომხეთის დედაქალაქი
84. ძალღონე, არაქათი
85. მაგნიტი
86. მოდელი ... კემპბელი
87. შტატი აშშ-ში
88. ჭრილი ბანიანი სახლის ჭერში
89. ფრინველი ეგვიპტურ მითებში
90. როდინის ქვა
91. „არაჩვეულებ. გამოფენა" ... ჯინჭარაძე
92. პორტი ნიდერლანდში
93. ალკოჰოლური სითხე
94. რძის პროდუქტი
95. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
96. განთიადი
97. ადამიანის ფიგურა ვიტრინაში
98. გამადიდებელი მინა
99. ... და არა ... რა (ზღაპრ.)
100. წელზე შემოხვეული ხელები
101. დოსტოევსკის რომანი
102. კუნძული ეგეოსის ზღვაში, სადაც ვენერას უხელო ქანდაკება იპოვეს
103. მსახიობი ... ჩიმარო
104. ვაჟიშვილი
105. წიწვოვანი ხე
106. გოგოლის მოთხრობა
107. „კაპიტან ... შვილები"
108. მამათა დიდი მონასტერი
109. ინგლისელი პოეტი
110. მხატვარი კამილ ...
111. ილია ჭავჭავაძის ლექსი
112. ნაგებობა მდინარეზე
113. მხატვარი ანრი ტულუზ ...
114. სიო
115. ვაზის სასხლავი მაკრატელი
116. მყრალი ცხოველი ჩრდ. ამერიკაში
117. ანტილოპას სახეობა
118. ცხენების სადგომი
119. გულის დაავადება
120. რომენ როლანი. „... ბრუნიონი"
121. ქართ. ესტრადის მომღერალი
122. სპილბერგის უცხოპლანეტელი
123. თაგვის სადგომი
124. მხ/ფ „... და მისი ძმები"
125. მსახიობი ... ბრანდო
126. ჭალის აჟურული საფარი
127. მხედართმთავარი, ანუ ...
128. მუცლის ფარიდან გამოსული ნაწლავი
129. პალმა. ისხამს კაკლებს
130. მოსამართლის მოსასხამი
131. კოსმოსური კვლევის ცენტრი აშშ-ში
132. ინგლისური ლუდი
133. დახვეული ნამცხვარი
134. ბურუსი
135. მსახიობი ... ჰეჩი
136. რეჟისორი ... დე ბონტი
137. მსახიობი ... რივზი
138. იგავი
139. მსახიობი ... ფიორენტინო
140. პარიკმახერი, ანუ ...
141. მსახიობი ... მერფი
142. გველის ხმიანობა
143. მსახიობი ... მანჯგალაძე
144. პირის ღრუს თაღი
145. კავშირებითი სიტყვა
146. რითი იხეხავენ კბილებს
147. გეიზერების კუნძული
148. ჟაკ-... კუსტო
149. ყვავილი
150. აზრი, შინაარსი

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ქალის საზაფხულო კაბა
2. „საქორწილო მარშის“ ავტორი
3. შხამიანი მწერი
4. მხ/ფ „მიდიოდა ...“
5. ფრანგული მონეტა
6. უნივერსიტეტი ... მატერი
7. ცხვირის პლასტიკური ოპერაცია
8. ჭირვეული ახირება
9. უბედურების მაუწყებ. სიგნალი
10. მიშენება ოთახზე
11. სირაქლემას სახეობა
12. დაწნეხილი შაქარი
13. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
14. კრილოვი. „მგელი და ...“
15. ჩარხი
16. ბაშკირეთის დედაქალაქი
17. ბაღჩეული
18. თავისუფალი სამუშაო ადგილი
19. „კუკარაჩა“ კოლელიშვილი
20. მსახიობი უაინონა ...
21. ანტილოპას სახეობა
22. მაროკოს დედაქალაქი
23. მისისიპის შენაკადი
24. თურქეთის დედაქალაქი
25. რეჟისორი ალფონსო ...
26. მსახიობი მიშელ ...
27. დენის მარეგულირებ. ხელსაწყო
28. ხის ჯიში
29. მსახიობი ... ტომეი
30. სრუტე პა-დე-...
31. ვიოლინოების ოსტატი ანტონიო ...
32. წუნის უკან დაბრუნება
33. ცხოველი. ებრძვის კობრას
34. „ფაუსტი“ პერსონაჟი
35. ამერიკელი მომღერალი ქალი
36. სახედარი
37. კუნძული ინდონეზიაში
38. სამეჯლისო ცეკვა
39. სიახლე ტექნიკაში: ...-ჰაუ
40. უბე ნორვეგიის სანაპიროზე
41. ურჩხული ჩინურ ზღაპრებში
42. უძველესი ასურეთის დედაქალაქი
43. მომღერალი ... ბურჭულაძე
44. ქვიშა
45. ფრინველის სამყვედევი
46. მსახიობი ოსვალდო ...
47. პიგმალიონის სატრფო
48. მსახიობი ვივიენ ...
49. კუნძული ავსტრალიასთან
50. ფეხბურთელი ... მესი
51. აზრი
52. ჯერომ კ. ჯერომი. „... ერთ ნავში, თუ არ ჩავთვლით ძაღლს“
53. ქალაქი აშშ-ში
54. მზის ღმერთი ...-რა
55. ტაშტი, ანუ ...
56. მწერალი ... ლინდგრენი
57. მდინარე თერგის ხეობა
58. მისი დედაქალაქია ტოკიო
59. რეჟისორი ელდარ ...
60. მსახიობი მონიკა ...
61. ბარდი ვლადიმერ ...
62. მდინარე აფრიკაში
63. ბრონტე. „ჯეინ ...“
64. თვალის ფერადი გარსის ანთება
65. გაზაფხულის თვე
66. ბილიარდის ჯოხი
67. მსახიობი ... კილმერი
68. ინგლისური ლუდი
69. დიდი საჯარისო შენაერთი
70. ყვავილი
71. ფოლგა
72. ვიოლინოს ჯოხი
73. იაპონური თაიგული
74. მსახიობი მარჩელო ...
75. რას სწავლობდა პავლოვი
76. ლათ. ამერიკული ცეკვა
79. ზარმაცი, მოდუნებული
78. მტერზე დანებება
79. ტროას ომის მონაწილე
80. ქათმის ფეხის ნაწილი
81. მხ/ფ „... ჩამოვიდნენ მთიდან“
82. მოწაფის მაგიდა
83. ჩოგბურთელი ... სამპრასი
84. მხოველი. იცვლის ფერს
85. აკვიატება
86. ბათუმთან მწვანე ...
87. მსახიობი ... საზერლენდი
88. ახალშემოსული, ანუ ... კიტრი
89. თეატრალ. ხელოვნ. ჟანრი
90. მანეთის მეასედი
91. აზროვნების ორგანო
92. ტალახი
93. ქსოვილის გასაშლელი სახლი
94. მხ/ფ „რიგითი ... გადასარჩენად“
95. იაპონური ხალათი
96. აზერბაიჯანის დედაქალაქი
97. ამფიბია
98. ... ერქომაიშვილი
99. ფრინველი აფრიკის სავანაში
100. გულსაბნევი
101. მსახიობი ... ნოლტი
102. შოკოლადი „...-გოლდი“
103. მომღერალი ... სპირსი
104. იალქანი
105. მსახიობი ... ჰოუკი
106. კანადის დედაქალაქი
107. საფრანგეთის ისტორიიდან: ... ღამე
108. თავსამკაული
109. საფრანგეთის იმპერატორი
110. ... მარაბდელი
111. მსახიობი ... დიტრიხი
112. ნიშნავს საშუალოს
113. პატარა არია
114. მწერალი ... დე ბალზაკი
115. მსახიობი ... დევისი
116. ქრთამი ... ანათებს
117. კოტლეტის მასალა
118. წყლიანი ადგილი უდაბნოში
119. ლაშქარი
120. ერთგვარი ხვლიკი
121. მისი დედაქალაქია ტალინი
122. ... ქურდი და აქლემის ქურდი, ორივ ქურდიაო
123. „დორიან ... პორტრეტი“
124. ალკოჰოლური სითხე
125. დათვის ნაშიერი
126. მსახიობი ... ბლუმი
127. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
128. წარწერა კადრის ქვეშ
129. დაესმის არსებით სახელს
130. მდინარე იტალიაში
131. ქალაქი უკრაინაში
132. ქალაქი რაჭაში
133. ... გათეთრდების ყორანი
134. ხილი
135. ავსული
136. ურუგვაის დედაქალაქი
137. ყურძნის კრეფის პერიოდი
138. ინდური კაბა
139. მხატვარი ... გრეკო
140. სამკურნალო მცენარე
141. ზამბახი
142. გამის ნოტი
143. „დათა თუთაშხია“ მედუქნის გოგო
144. რეპტილია
145. გოგოლის მოთხრობა

პასუხები: 1. სარაფანი; 2. მენდელსონი; 3. კელა; 4. მატარებელი; 5. ეკიუ; 6. ალმა; 7. რინოპლასტიკა; 8. კაპრიზი; 9. სოს; 10. ერკერი; 11. ემუ; 12. რაფინადი; 13. მარადია; 14. კრავი; 15. ჯარა; 16. უფა; 17. ნესვი; 18. ვაკანსია; 19. მურტალო; 20. რაიდერი; 21. გნუ; 22. რაბატი; 23. მისური; 24. ანკარა; 25. არაუ; 26. მერსიე; 27. რეოსტატი; 28. მუხა; 29. მარისა; 30. კალე; 31. სტრადივარიუსი; 32. რეკლამაცია; 33. მანგუსტი; 34. მეფისტოფელი; 35. ენია; 36. ვირი; 37. იავა; 38. ვალსი; 39. ნოუ; 40. ფიორდი; 41. დრაკონი; 42. ნინევია; 43. პაატა; 44. სილა; 45. გალია; 46. რიოსი; 47. გალატეა; 48. ლი; 49. ტასმანია; 50. ლიონელ; 51. იდეა; 52. სამნი; 53. ბოსტონი; 54. ამონ; 55. ვარცლი; 56. ასტრიდ; 57. დარიალი; 58. იაპონია; 59. რიაზანოვი; 60. ვიტი; 61. ვისოცკი; 62. ლიმპოპო; 63. ეარი; 64. ირიტი; 65. აპრილი; 66. კიი; 67. ველ; 68. ელი; 69. არმია; 70. ია; 71. კილიტა; 72. ხემი; 73. იკებანა; 74. მასტროიანი; 75. რეფლექსი; 76. სალსა; 77. ზანტი; 78. კაპიტულაცია; 79. პარისი; 80. ბარკალი; 81. ისინი; 82. მერხი; 83. პიტ; 84. ქამელეონი; 85. მანია; 86. კონცხი; 87. კიფერ; 88. ქორფა; 89. ოპერა; 90. კაპიკი; 91. ტვინი; 92. ლაფი; 93. კარავი; 94. რაიანის; 95. კიმონო; 96. ბაქო; 97. ტრიტონი; 98. ანზორ; 99. მარაბუ; 100. ბროში; 101. ნიკ; 102. ალპენ; 103. ბრიტნი; 104. აფრა; 105. იტან; 106. ოტავა; 107. ბართლომეს; 108. დიადემა; 109. ნაპოლეონი; 110. არსენა; 111. მარლენ; 112. მეცო; 113. არიოზო; 114. ონორე; 115. ჯინა; 116. ჯოჯოხეთს; 117. ფარში; 118. ოაზისი; 119. სპა; 120. ჯოჯო; 121. ესტონეთი; 122. ნემსის; 123. გრეის; 124. სპირტი; 125. ბელი; 126. ორლანდო; 127. პლატონი; 128. ტიტრი; 129. ვინ; 130. პო; 131. ოდესა; 132. ონი; 133. არ; 134. ბალი; 135. დემონი; 136. მონტევიდეო; 137. რთველი; 138. სარი; 139. ელ; 140. ასკილი; 141. ირისი; 142. ლა; 143. კიკუ; 144. კუ; 145. „ვიი“. იკითხება: ფრედი მერკური.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## მუშაობის არაადამიანური პირობები, ანუ რაზე წუწუნებენ მსხვილი კომპანიების თანამშრომლები...




ალბათ, გინახავთ ფილმებში ან ფოტოებში მაინც, როგორი კომფორტულია მსხვილი საერთაშორისო კომპანიების ოფისები, როგორ პირობებში მუშაობენ რიგითი თანამშრომლები.

და როგორ გგონიათ, რაზე შეიძლება იჩივლონ და იწუწუნონ ასეთი კომპანიების თანამშრომლებმა?

ფაქტია, მაგარი გიჟები არიან, თან, ცოტა არ იყოს, უნამუსოებიც! საიდან ვასკვნით? აგერ, ბატონო, კორპორაცია „გუგლის“ ერთ-ერთი ულტრათანამედროვე ოფისის თანამშრომლების წერილობითი პრეტენზიები თავიანთი ხელმძღვანელობის მიმართ და თავად დარწმუნდით:

– ტრენაჟორების დარბაზი ძალიან შორს არის. აუცილებელია ტრენაჟორების დარბაზი ჩემს კორპუსშიც ამოქმედდეს, რათა შევძლო ვარჯიში ისე, რომ სიარულში დრო არ დავკარგო.

– „თანამშრომლების სახელმძღვანელო“ 1 გვერდზე დიდია.

– ეს უხარისხო 100-დოლარიანი ყურსასმენები ვარცხნილობას მიფუჭებს.

– 8 მაისურიდან 5, რომლებიც ამ წელს საჩუქრად მივიღე, შავია, რაც ძალიან მაღიზიანებს. ცისფერი უფრო მეტად მიყვარს.



– კორპორაციული ღონისძიების დროს, როცა პარაშუტით ვხტებოდით, 50-წამიან ფრენას დაგვპირდნენ, თუმცა ვიდეოს ყურებისას ვნახე, რომ მხოლოდ და მხოლოდ 41 წამი გვიფრენია.

– ჩემი 30-დიუმიანი მონიტორი შესანიშნავ ხედს მიფუჭებს ულამაზეს მთებზე.

– ზოგჯერ, როცა სამზარეულოში მაცივრიდან რომელიმე სასმელის გამოსაღებად მივდივარ, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ბოთლები ახალი შეწყობილია და კარგად გაციებული არ არის. მითხარით, როგორ ვიმუშაო ამის შემდეგ?!

– ჩემს ოთახში დადგმული სავარძელი არასაკმარისად გრძელია და მასზე ფეხების ბოლომდე გაშლას ვერ ვახერხებ. მოვითხოვ მის შეცვლას.

– სადილზე მთელი პიცა შესანსლეს და მომიწია, სტეიკი მეჭამა.

– როცა კომპანიის ხარჯზე სხვა ქვეყნების ოფისებში მიწევს ჩასვლა, უცნობ კერძებს ვაწყდები და არ ვიცი, რომელი უნდა ავირჩიო.



– ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ როგორც კი კომპანიის მიერ გამოყოფილ ტელეფონს შევეჩვევი, ზუსტად მაშინ არიგებენ ახალ მოდელებს და მიწევს, მენიუში გასარკვევად ხელახლა ვიწვალო.

– ჩემი გასუქების მიზეზი შეუზღუდავი საკვებია, რომელიც კომპანიას თანამშრომლებისთვის აქვს გამოყოფილი.

– სათამაშო ოთახში მხოლოდ ერთი რბილი „პუფია“, რის გამოც მომიწია, ჩვეულებრივ სკამზე დამჯდარს მეთამაშა.

– კლასიკური სათამაშო აპარატების არჩევანი ჩვენს შენობაში შეზღუდულია, რის გამოც სხვა კორპუსში მიწევს გადასვლა.

– ავეჯისგან კატაპულტი გავაკეთეთ, მაგრამ ჭერი ძალიან დაბალი აღმოჩნდა და ფორთოხალი მხოლოდ 45 მეტრის მანძილზე გაიტყორცნა.

– კომპანიისგან მაისური საჩუქრად უკვე 3 თვეა, აღარ მიმიღია.

– ბილიარდის კიის ცარცი მაგადის ფერს არ ეხამება.

– ჩემი ოფისიდან ხედი ბეი-ბრიჯზე იშლება, მე კი მირჩევნია, ვუყურო ოქროს კარების ხიდს. ის ბევრად ლამაზია.

– ჩემი სამუშაო ადგილი ორ სამზარეულოს შორისაა მოქცეული და ყოველ ჯერზე მიწევს იმაზე ფიქრი, რომელ მათგანში შევიდე.

*livejournal.ru*

## დაკარგულმა თუთიყუშმა პატრონი ტელეფონის დახმარებით მოძებნა



თუთიყუშმა კაკადუმ, რომელიც ბრიტანელმა დევიდ ედვარდსმა დაკარგა, პატრონთან დაბრუნება თავისი უნიკალური უნარის დახმარებით შეძლო. შემთხვევა მართლაც უჩვეულო და საოცარია და ის ზუსტად ასე მოხდარა:

7 წლის თუთიყუში პატრონს ღია ფანჯრიდან გაჰპარვია და ის რამდენიმე დღეში ვინმე სიუ ჰილს უპოვია.

თურმე, „ინტელექტუალი“ ფრინველი ერთთავად კონკრეტულ ციფრებს იმეორებდა, რამაც მისი ახალი პატრონი დააეჭვა და გადააწყვეტინა, თუთიყუშის მიერ დასახელებული ციფრები ტელეფონზე აეკრიფა.

სიუ ჰილის გასაკვირად, სატელეფონო ზარს მალევე უპასუხეს და როცა მან ყურმილის მეორე მხარეს მყოფ ადამიანს ყველაფერი აუხსნა, მაშინვე სიხარულისა და მადლიერების გამომხატველი სიტყვებიც გაისმა.

მოკლედ, ძველი პატრონების ტელეფონის ნომრის ცოდნამ, კაკადუ მშობლიურ სახლში მალევე დააბრუნა, მომხდარის შესახებ კი დღემდე ყველა ღიმილმორეული საუბრობს.

*gazeta.ua*

## ბრაზილიელ პატიმრებს ციხეში ყოფნის ვადას კითხვის სანაცვლოდ შეუმცირებენ



აი, რას ნიშნავს და როგორ უნდა პატიმრებზე ზრუნვა, რათა როცა დრო მოვა, ციხიდან კიდევ უფრო აგრესიულები კი არა, გაწონასწორებულები და თქვენ წარმოიდგინეთ – უფრო განათლებულები გამოვიდნენ.

ბრაზილიის ხელისუფლება მართლაც შესანიშნავი და მოულოდნელი ინიციატივით გამოვიდა, რომელიც არა მხოლოდ პატიმრების რაოდენობას შეამცირებს გადავსებულ ციხეებში, არამედ მათი განათლების ამაღლებასაც ხელს შეუწყობს.

ჩინოვნიკები პატიმრებს სთავაზობენ, ბევრი იკითხონ და სწორედ ეს გახდება მათი ვადაზე ადრე განთავისუფლების მიზეზი.

კანონმდებლების მიერ შემუშავებული კონცეფციის თანახმად, თითოეულ მსჯავრდადებულს შეუძლია, თავისი პატიმრობის ვადა წელიწადში 48 დღით შეიმციროს, თუკი ფილოსოფიის, ლიტერატურის, მეცნიერებისა და კლასიკური ისტორიის 12 წიგნს მაინც წაიკითხავს.

რა თქმა უნდა, მხოლოდ სიტყვაზე პატიმრებს არავინ დაუჯერებს და მათ შეამოწმებენ კიდეც: მათ წაკითხული წიგნიდან გამომდინარე, საკუთარი აზრი ციხის ადმინისტრაციას წერილობით უნდა წარუდგინონ, თანაც გრამატიკის წესების მაქსიმალური დაცვით.

ამ დროისთვის ეს სისტემა უკვე მუშაობს ბრაზილიის ოთხ ციხეში და სპეციალური კომისია ექსპერიმენტის მონაწილეებს არჩევს.

საინტერესოა, რომ ანალოგიური მეთოდის გამოყენება სცადეს გარკვეული პერიოდის წინ აშშ-შიც. კერძოდ, კალიფორნიაში საოლქო მოსამართლე 2012 წლის მაისში პატიმრობიდან გათავისუფლებას დაჰპირდა მამაკაცს, თუკი ის დღეში მინიმუმ 1 საათი მაინც ჩაუჯდებოდა კითხვას. მოგვიანებით მოსამართლის გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი.

*loadinfo.ru*

## ავსტრალიელმა წყვილმა „ხილსალათის“ ხეების გაზრდა ისწავლა



იმისთვის, რათა შემოდგომაზე ატმის, ქლიავის, ვაშლატამასა და გარგრის კარგი მოსავალი აიღო, აუცილებელია მიწის ნაკვეთი, რომელსაც წლების მანძილზე ისე უნდა მოუარო, რომ ცივი ნიავიც კი არ მიაკარო. მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ მიღებული მულტიხილოვანი მცენარის ნიმუში, სამუშაო სახელწოდებით „ხილსალათის ხე“ საშუალებას იძლევა, მწიფე და წვნიანი ნაყოფი პირდაპირ აივანზე ხელის გაყოფით მოწყვიტოთ. რაც მთავარია, სულაც არ არის საჭირო არავითარი აგარაკი და მისი მოზრდილი მიწის ნაკვეთი. საკმარისია თუნდაც „ხრუშოვკა“.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ავსტრალიელი ცოლ-ქმარი ჯეიმს და კერი ვესტები ოთახის კომპაქტური ხის იდეაზე მუშაობდნენ, რომელიც სხვადასხვა ნაყოფს ერთსა და იმავე დროს და რაც მთავარია, ერთ ხეზე გამოიბამდა.

ჯერ კიდევ 1990-იან წლებში მეუღლეები ოცნებობდნენ, რომ ასეთი საოცარი შედეგი მიეღოთ და ექსპერიმენტების ჩატარებასაც მიჰყვეს ხელი. წლების მანძილზე მათ ძალიან ბევრი იმედგაცრუება შეხვდათ, თუმცა უკან მაინც არ დაიხიეს და როგორც იქნა, სასურველ შედეგსაც მიაღწიეს – შექმნეს უნივერსალური მცენარე, რომელშიც სხვადასხვა ნაყოფი სრულ ჰარმონიაში ხარობს.

გარდა იმისა, რომ ხე ერთდროულად რამდენიმე სახეობის ხილს ისხამს, მას ნაყოფის მოტანა ნებისმიერ კლიმატურ ზონაშიც შეუძლია.

*drunov.ru*

## ამერიკელმა ახალგაზრდამ იდეალური გარეგნობის მისაღებად 90 პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა

ჯორკო სკამზე რომ ჩამოჯდე და უბრალოდ, 90-მდე დაითვალო, ეგ წაიღებს საკმაო დროს და ახლა 90 ოპერაცია დაითვალეთ... დიდუ, რამდენია?!

ასეა თუ ისე, სწორედ 90 ოპერაცია გაიკეთა 32 წლის ნიუ-იორკელმა ჯასტინ ჯედლიკამ, რათა როგორმე ოცნება აესრულებინა და იდეალური გარეგნობა მიეღო.

გარეგნულად ჯასტინი ფიტნესისა და ცილების კოქტეილების თავგადაკლულ მოყვარულს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში მისი კუნთები მხოლოდ პლასტიკისგან და სილიკონისგან შედგება. ასე, მაგალითად, ჯასტინს აქვს მკერდის იმპლანტანტები, მუცლის „კუბიკების“ ნაცვლად გამოყენებულია პოლიმერის ჩარჩო, ტრიცეპსებსა და ბიცეპსებზე კი ხელის მოჭერა არაფრით შეიძლება, რადგან დიდია ალბათობა, რომ იქიდან უფერო სითხე გადმოიღვრება.

ამერიკელმა ახალგაზრდამ საკუთარი სხეულის სრულყოფა დუნდულების კუნთებიდან დაიწყო, ოლონდაც ფიზიკურ ვარჯიშს პროფესიონალი ქირურგის სკალპელი არჩია.

საერთო ჯამში, მას მთელი 10 წელი და როგორც უკვე გითხარით, 90 პლასტიკური ოპერაცია დასჭირდა, რათა გამხდარიყო ზუსტად ისეთი, როგორიც დღესაა.

სიმართლე გითხრათ, უფრო უკეთეს შედეგსაც მოველოდით, თუმცა მთავარია, რომ თავად ჯასტინია კმაყოფილი და ბედნიერი...

*etotupo.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



კარზე ზარია:

– გამარჯობათ. მე ფორტეპიანოს ამწყობი ვარ.

– ჰო, მაგრამ არანაირი ამწყობი მე არ გამომიძახებია!

– ვიცი... თქვენმა მეზობლებმა გამომიძახეს...

*****

გამოცდა. სტუდენტი მზად არ არის. მიდის პროფესორთან:

– ბატონო პროფესორო, ანგინა მაქვს და შეიძლება, სახლში წავიდე?

– რა თქმა უნდა?!

საღამოს პროფესორი აფერისტ სტუდენტს გრძელფეხება, ძალიან სექსუალურ გოგონასთან ერთად შეხვდა:

– ჩემო ძვირფასო, ასეთი ანგინით თქვენ ლოგინში უნდა იწვეთ, ალმა-დალმა კი არ უნდა დადიოდეთ?!

*****

ფსიქოლოგი მშობელს პატარა ვაჟის აღზრდაზე ესაუბრება:

– შვილს ძალიან მკაცრად ექცევით!

– საიდან მოიტანეთ?!

– საიდან და როცა ბავშვს სახელი ვკითხე, მიპასუხა: კოტე, დაეგდე!

*****



– თქვენ, კაცებმა, მარტო ის იცით, რომ ქალებს ძუძუებზე მისჩერებიხართ!

– ჰმ! შენ გგონია, შარვალგახსნილმა რომ ვიარო, თვალებში დამიწყებ ყურებას?!

*****

– უი, ქალბატონო, როგორი მომხიბვლელი ხართ ამ საღამოს ტუალეტში!

– თქვენ რა, სულ გამოშტერდით? ახლავე დაკეტეთ ტუალეტის კარი!!!

*****

ორი მამაკაცი სასტუმროში სვამს, უკვე ორივე გვარიანად შემთვრალია:

– გაიგე ის ამბავი, ახალი ხელისუფლებაც რომ გვისმენს? ალბათ, ამ შტეფსელში ახლა მიკროფონია ჩადგმული. მოდი, ვგლიჯოთ და ვინც გვისმენს, ყურები ეტკინება.

უცბად შტეფსელიდან ხმა ისმის:

– მანდ არ მომიყვანოთ, თორემ გგლიჯავთ მე თქვენ!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მეუღლე მანანა, შვილები გიორგი, ბუთა, დები ლუიზა და მზია ბერიაშვილები, რძალი შორენა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზურაბ (ზაური) გიორგის ძე ბერიაშვილი**

**პანაშვიდი:** 11 აპრილს;
**დაკრძალვა:** 12 აპრილს, 14 საათზე;
**მისამართი:** სიღნაღის რაიონი, ქალაქი წნორი, სიხაშვილის ქ. №2.

გოგი მერაბიშვილი ოჯახით, გამოხატავს ღრმა მწუხარებას მძახლის **ზურაბ ოქროპირიძის** გარდაცვალების გამო.

გოგი ცინცაძე, ოჯახით, გამოხატავს ღრმა მწუხარებას **ზურაბ ოქროპირიძის** გარდაცვალების გამო.

ვაჟა ფერაძე, ოჯახით, გამოხატავს ღრმა მწუხარებას **ზურაბ ოქროპირიძის** გარდაცვალების გამო.

ავთო წერეთელი ოჯახით, გამოხატავს ღრმა მწუხარებას **ზურაბ ოქროპირიძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ეთერ მაისურაძე, შვილი როდამ ალანია, და ნანა, ძმა გია, შვილიშვილები რატი ალანია, სალომე მეშველიანი, რძლები ქეთინო მეგრელიშვილი, ნატო კუტალაძე და მონიკა ხულორდავა, სიძე კახა მეშველიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამაზ ქიშვარდის ძე ალანია**

**პანაშვიდი:** 10, 11 აპრილს, თბილისი, კონიაკის დასახლება, ილორის ქ. №28.
**გამოსვენება:** 12 აპრილს, 14 საათზე.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

# 37 წელი ბრიტანელი ქალი მოტეხილი... კისრით ცხოვრობდა



37 წლის ბრიტანელი სიუ ჰილბერტი, რომელიც წლების განმავლობაში ფიტნეს-ინსტრუქტორად მუშაობდა, ექიმებმა ისეთ შოკში ჩააგდეს, რომ საცოდავი აზრზე დღესაც კი ვერ მოსულა.

როგორც ირკვევა, სიუ ჰილბერტს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში... კისერი ჰქონია მოტეხილი.

ვინ დაწყევლა ასე სასტიკად ბრიტანელი ქალბატონი: მოიტეხე კისერი და კინჩხიო, კაცმა არ იცის, მაგრამ მისი მდგომარეობით მთელი ინგლისური სამედიცინო სამყაროა შეძრული.

თურმე, ასეთი საშიში მოვლენის შესახებ სიუ ჰილბერტმა სრულიად შემთხვევით შეიტყო – ის მსუბუქ ავარიაში მოყვა და ყოველი შემთხვევისთვის ექიმთან მისვლა გადაწყვიტა.

ჰოდა, როგორც კი ექიმებმა პაციენტი რენტგენზე გააშუქეს, აღმოჩნდა, რომ მას კისერი ჰქონდა მოტეხილი.

მედიკოსების ვარაუდით, სიუ ჰილბერტს კისერი მაშინ მოტყდა, როცა... დაიბადა, თუმცა როგორ იცოცხლა ამდენი ხნის განმავლობაში, აქ უკვე პასუხის გაცემას ვერავინ ახერხებს.

***fishki.net***

# ჰოროსკოპი

***ვერძი 21.03-21.04***

**10 აპრილი:** დღეს გულს გაგითბობთ შეგრძნება, რომ შეუცვლელი ხართ და ვიღაცას ძალიან სჭირდებით. მეტი რა არის საჭირო ბედნიერებისთვის?

***კურო 22.04-21.05***

**10 აპრილი:** ეს დღე ისე არ გაატაროთ, რომ დროის ტყუილად დაკარგვა სანანებელი გაგიხდეთ.

***ტყუპები 22.05-21.06***

**10 აპრილი:** გარშემომყოფთა ყურადღება და თანადგომა გჭირდებათ, მაგრამ ბედის განგებით, ეს რომც მიიღოთ, თავს ამის ღირსად არ ჩათვლით. სულ ტყუილად, თქვენ ეს დაიმსახურეთ.

***კირჩხიბი 22.06-22.07***

**10 აპრილი:** უმჯობესია, დღეს უკან დაიხიოთ. ის, რომ რაღაცაში მონაწილეობა არ გინდათ, არ ნიშნავს, რომ საბოლოოდ დანებდით. უბრალოდ, შესაფერის სიტუაციას დაელოდეთ.

***ლომი 23.07-22.08***

**10 აპრილი:** გზის გასაყართან დგახართ და თანაც, მარტო არ ხართ. გზა თქვენ უნდა აირჩიოთ და არა მარტო თქვენთვის. ეს გაითვალისწინეთ.

***ქალწული 23.08-22.09***

**10 აპრილი:** თქვენგან ინიციატივებს ელოდებიან და თუ ხელი არ გაანძრიეთ, საქმე ადგილიდან არ დაიძვრება.

***სასწორი 23.09-22.10***

**10 აპრილი:** დროა, ჩაერიოთ და მოვლენები საჭირო მიმართულებისკენ შეცვალოთ. ყურადღება არ მიაქციოთ რას გეტყვიან, თქვენ საკუთარი ინტერესებით მოქმედებთ და ეს საკმარისი საბაბია.

***მორიელი 23.10-21.11***

**10 აპრილი:** საკუთარ შესაძლებლობებს სრულად ვერ წარმოაჩენთ, რაღაცა შეგიშლით ხელს. თუ რაღაც საქმით ძალიან ხართ დაინტერესებული, სამომავლოდ გადადეთ.

***მშვილდოსანი 22.11-21.12***

**10 აპრილი:** თუ ვინმე თქვენი საქციელის გამო განმარტებას მოგთხოვთ, შეეცადეთ, სიტყვა ბანზე აუგდოთ. თქვენი გეგმები და მათი მოტივაციები არავის გაანდოთ.

***თხის რქა 22.12-19.01***

**10 აპრილი:** დღეს თქვენ, ან ვინმეს თქვენი ოჯახიდან, შეიძლება სახლში ავეჯის გადაადგილება, ან რამე სხვა ცვლილებები მოუნდეს. არ ღირს.

***მერწყული 20.01-18.02***

**10 აპრილი:** საეჭვოა, დღევანდელი გეგმებიდან, მცირედის გარდა, რამეს განხორციელება შეძლოთ. სადარდებელი არაფერია, ის, რაც შეგაფერხებთ, დიდ სიამოვნებას მოგიტანთ.

***თევზები 19.02-20.03***

**10 აპრილი:** საკუთარი თავისადმი რწმენა ზოგჯერ ადამიანს პრობლემის მოგვარებაში ეხმარება, მაგრამ დღეს ეს არ გაჭრის. შეეცადეთ, არავის არაფერს დაჰპირდეთ.

# ვინ არის დამნაშავე ოჯახურ სკანდალებში — ცოლი თუ ქმარი?



ბრიტანელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ თანამედროვე ოჯახების უდიდეს ნაწილში მეფობს... მატრიარქატი და რომ ოჯახურ სკანდალებსაც უფრო ხშირად, ცოლები აწყობენ, ვიდრე ქმრები ან შვილები.

კვლევის შედეგების მიხედვით, ჩხუბი და აყალმაყალი მატრიარქალურ ოჯახებში, დღის განმავლობაში, საშუალოდ სამჯერ იწყება და სრულდება. მისი საშუალო ხანგრძლივობა 5 წუთია, სტატისტიკის თანახმად კი, ყოველწლიურად, ოჯახები ჩხუბზე მინიმუმ 4 დღეს კარგავენ!

საინტერესოა, რომ აღნიშნული მონაცემები, ბრიტანელმა მეცნიერებმა, 3 ათასი ოჯახის გამოკვლევის შედეგად მიიღეს.

სწავლულები ნისლიანი ალბიონდან მიიჩნევენ, რომ ჩვეულებრივ, ოჯახში წამყვანი როლი დედას ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, ძლიერი სქესის კითხვა: ვინ არის ოჯახის უფროსი? როგორც მინიმუმ, უადგილოა, მაქსიმუმ კი – დიდი სისულელე.

სხვათა შორის, ბრიტანელებმა ოჯახებში გაჩაღებული ჩხუბების ყველაზე გავრცელებული მიზეზებიც გამოავლინეს. მათი მტკიცებით, წყვილს შორის გაუგებრობა, ყველაზე ხშირად, ტელევიზორის პულტის გამო ხდება, ასევე, კამათი შეიძლება მოჰყვეს დედების მცდელობას, რომ ბავშვებმა გაკვეთილები მოამზადონ და ასე შემდეგ.

– მიუხედავად იმისა, რომ კამათი და გაუგებრობა ყველა ოჯახში ხდება და ამის გამო, ბევრს გულისტკენაც ამახსოვრდება, კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ მსგავს სკანდალებს ძალიან დიდი როლი აქვს, რადგან უმჯობესია, ოჯახის წევრებმა „კვამლის გამოშვება“ ისევ ერთმანეთზე მოახდინონ, ვიდრე უცნობ ადამიანებზე. გარდა ამისა, ოჯახურ გაუგებრობებს, წყვილებს შორის ურთიერთობის უფრო განმტკიცება მოსდევს – წყენის დასავიწყებლად ხომ საყვარელ ადამიანს, წარმოუდგენლად სასიამოვნო სიურპრიზსაც კი მიუძღვნით, – ასკვნიან ბრიტანელი მეცნიერები.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***woman.ru***




***დათო ახობაძეს*** ვულოცავთ შვილიშვილის, უმშვენიერესი **ლილე სხვიტარიძის** შეძენას! ღმერთმა ჯანმრთელი და ბედნიერი გაგიზარდოთ!

„ალია ჰოლდინგი“



რეპორტიორი ქუჩაში გამვლელს აჩერებს და ეკითხება:
– სიგარეტს ეწევით?
– დიახ, ვეწევი.
– და იცით, რომ მოწევა ძალიან მავნებელია?!
– დიახ, ვიცი!
– რამდენი წლის ბრძანდებით?
– 50 წლის გახლავართ.
– და ის თუ იცით, რომ ამდენი წლის მანძილზე სიგარეტის საყიდელი ფული რომ შეგეგროვებინათ, აი, ასეთ მანქანას შეიძენდით, – ეუბნება რეპორტიორი და იქვე მდგარ „ბენტლიზე“ უთითებს, რაზეც კითხვას ახლა რესპონდენტი უბრუნებს:
– და თქვენ ეწევით?
– რა თქმა უნდა, არა!
– ასეთი მანქანა გყავთ?
– არა, რას ბრძანებთ...
– აი, ხომ ხედავთ – მე ვეწევი და ეს მანქანაც ჩემია...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

»211359457

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 05.30